



გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კაპ. თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სსში თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.
 ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—«წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების» კანტელარიაში და «კვალის» რედაქციაში, სხვა-თვის ქუჩაზე, № 35.
 ტელეფონი № 734.
 ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакция. «КВАЛИ».

შინაარსი: შინაური მიმოხილვა.—სხვა და სხვა ამბები.—შაკაქის მრეწველთა მომავალი კრების პროგრამა.—კორესპონდენტები.—რუსეთის ცხოვრება.—მთავრობის გამოცხადება.—სს-დარ-გარეთ.—ქეკელი, ლექსი და რა ხუნდაძისა.—მეგობარს, ლექსი ბ. ასახინდელისა.—ერთგული ღედა, მოთხრობა ტრ. რამაშიელისა.—დუმილი, თარგ. დ—ი-სა.—წერილი რედაქციის მიმართ და განცხადება.

შინაური მიმოხილვა.

არაფერი არ ვისწავლოთ, ყველაფერი დავივიწყოთ—აი რით ხელმძღვანელობს ბათუმის ქართველი ამომრჩევლები. ეს რომ ასე არ იყოს, განა 1898 წლის არჩევნებს ვერ მოიგონებდნენ და მაშინ შეძენილი გამოცდილებით წლევანდელ არჩევნებზე ვერ ისარგებლებდნენ? მაგრამ არა, ისანი იმეორებენ მაშინდელ ამბებს და, როგორც სჩანს, გლახათაც იმეორებენ. 1898 წ., როგორც იცით, პირველ კენჭის ყრაზე ქართველებმა გაიყუა და ერთი მეორეს შავი კენჭები დაუშინეს. ახლაც ათ ნომერის არჩევანზე იგივე მომხდარა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ წინეთ ქართველთა ოპოზიციას ერქვა „ელიავას პარტია“, ახლა-კი „გაბუნიათა პარტია“ რქმევია, თუმცა მათ შორის სახელწოდების გარდა დიდი განსხვავება არ უნდა იყოს. მზგავსება კი საოცარია, ორივე შემთხვევაში გაშავებულნი და გათეთრებულნი ერთი და იგივეა, გარდა გ. ვოლსკისა, რომელსაც გაშავება აუკლებია ყუთის დაუდგმელობით. ჩვენ არ ვართ იმ აზრის, რომ რაკი ქართველია, უთუოთ ქართველს უნდა მიემხროს, სომეხი—უთუოთ სომეხს და სხ. პირიქით, ჯგუფთა შედგენა უნდა წარმოებდეს თვით საქმის მიხედვით და არა სხვა რაიმე გარეშე მოსაზრებით, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ყოველივე განკერძოებულს ჯგუფს თავის არსებობის საქმიანი საბუთი ქონდეს. და აი სწორედ ასეთს საბუთს მოკლებულია ეს „ქართველთა ოპოზიცია“. არც წინეთ სკოდენია ვინმეს და არც ახლა იცის, თუ რა პროგრამით სულდგმულეს ის. 1898 წ. გამოირკვა, რომ განხეთქილება ატყდა ვოლსკი-ელიავას პირად უკმაყოფილების გამო; წელსაც ანაირი თუ ამის მზგავსი ამბები უნდა იყოს მიზნები ერთმანეთთან ბრძოლისა. თუ კი ეს ასეა, თუ კი ასეთი მოვლენა დაქინებით მეორდება და პირად შურს და ინტრიგებს ბოლო არ უჩანს, აშკარაა, ყველა გონიერი ამომრჩეველი ერთიანად ერთ ზომას მიმართავს მის აღმოსაფხვრელათ, ეს ზომაა—ინტრიგანთა დასჯა დროებით ან სამუდამოთ გაძევებით

საბჭოდან. თუ კი გ. ვოლსკი და მისი მოპირდაპირნი იმდენათ ატეხილია ერთმანეთზე, რომ თავისი შეურიგებლობით და ეინით საზოგადო საქმეს რევენ—მაკვირვებს რატომ თვითონ ისანი თავის ნებით არ დასტოვებენ საზოგადო ნიადავს და შურის საძიებლათ თავის კერძო საქმეებს არ გაიხდინან. რა ბათუმის ბრალია ის, რომ იმათ ერთმანერთი სძულთ, სძულთ არა საქალაქო პოლიტიკის გამო, არამედ სრულიად კერძო მოსაზრებით. დეე, ეს ბრძოლა გადაიტანონ იქ, რამაც ის პირველათ გამოიწვია, ხოლო ქალაქის საქმეებს კი მოარიდონ.—მეორე მიზეზი ქართველთა დასუსტებისა არის ბერძენთა გადამტერება, რაცაც გამოწვეულ იქმნა ქართველების სრული უტაქტობით. ყოველგან და ყოველთვის მებრძოლნი ეძიებენ მოკავშირეთ და წკრილ საქმეს უთმობენ მათ, რომ ამით სხელი მოიგონ. ბათუმის ქართველ ხმონებს კი ეს არ სცოდნია, მომავალი არ გაუთვალისწინებია და სრულიად განუსჯელათ აყოლია ვილაცების უტაქტობას და ტყუილ-უბრალოთ ბერძენებთან კავშირი გაუწყვეტია. ისეთი უქადურობა, როგორიც გამოიჩინა ბათუმის საბჭომ ბ. ტრიანდაფილიდის მიმართ, შეაწუხებდა არა მარტო მის თანამემამულეთ, არამედ ყველა მიუღვამელ პირთ ბათომში. განა არ შეიძლებოდა ბ. ტრიანდაფილიდისისათვისაც მადლობა გამოეცხადებია საბჭოს და იმავე დროს ქალაქის თავისთვისთვისაც ნდობა? ამ შემთხვევაში უხერხულ მდგომარეობაში არცერთი მხარე არ ჩადგებოდა და ბერძენსაც განდგომის მიზეზი აღარ ექნებოდათ. მაგრამ ვიმეორებ, ყველა ამას უნდა მიხვედრა, საქმის გულ-დასმით შესწავლა და არა ეინის და ინტრიგების აყოლა—რაც შეეხება ბ. პალმის მისი უნიადგობა მისმა დამარცხებამ დაამტკიცა და თუ ინც ფართი-ფურთობს—ეს მხოლოდ მოწინააღმდეგეთა განხეთქილებით აიხსნება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალ დამატებითი არჩევნებზე—ეს განხეთქილება მოისპობა და ამომრჩევლები ქალაქის ინტერესებს ინტრიგანთა გულის თქმას არ ანაცვალენ...



თუ ლისის ახალი საბჭო პირველათ შეიყარა გასულ ორ-შაბათს და შეუდგა თავის მრავალრიცხოვან ასრულებას. ყველა, რასაკვირველია, იმას კითხულობს, თუ რით განსხვავდება ის ძველი საბჭოდან. თუ მხედველობაში მივიღებთ ხმოსანთა ვინაობას, დღევანდელ რომ ახალ საბჭოში იგივე ელემენტებია, რაც იყო ძველ საბჭოში, გარდა ქართველებისა. აქ ახალია მხოლოდ ეს უკანასკნელი, რაცხვით 14, რომელიც წინანდელ საბჭოში არ ყოფილან, ამისათვის ჩვენც ამათ შესახებ ვიტყვით ორიოდ სიტყვას. თუ ბათუმის ამომრჩეველებს არაფერი უსწავლიათ თავისი წარსულიდან, სამაგიეროთ თვითლისის ქართველებზე ვგეგვ არ ითქმის. ამათ უკანასკნელი არჩევნების შემდეგ შეუგნიათ, რომ ხმოსანთაზე უარის თქმა და საბჭოს სომხებისათვის „დამგუნება“—ეს უბრალო ბავშური ბუთიაობაა და არა გონიერი ადამიანის გონიერი პოლიტიკა. ეს ბუთიაობა გარეშე პირთა აყოლით ისე სამაგალითოთ ითამაშეს 1897 წ. ეს 5 წელიწადი ფეხი ამოიკვეთეს საბჭოდან. და მერე რა მოვიტანა ამან? არაფერი, გარდა ზარალისა. და აი ახლა შევუდგეთ ამ შეცდომის გასწორებას და ზარალის სარგებლობით დაბოლავებას. კარგათ ვვაგონდება ის დრო, როცა კინალამ ჯვარს აცვეს გ. წერეთელი იმ პოლიტიკისათვის, რომელსაც დღეს დაადგა ქართველობა და მისი „ქართველობისაგან გამოორიციხვა“ კი გამოაცხადეს! თურმე საჭირო ყოფილა ხუთი წლის გამოცდილება იმის გასაგებათ, რომ გ. წერეთელს მაშინდელი პოლიტიკა ყოფილა ნამდვილი ქართული პოლიტიკა, ხოლო მის მოწინააღმდეგეთა კი—გადამთიული. რუსები იტყვიან, სჯობს გვიან იყოს, ვინემ არასოდესო და ჩვენც ამ ასდაზით დავაბოლავებთ ამ მოსაზრებას.—ქართველი ხმოსნები მაშინ განკერძოვდებიან სხვისაგან და მოიპოვებენ ხალხის თანაგრძნობას, როცა თავისი საქმიანობით საბჭოს გამოაფხიზლებდენ და ქალაქის შეუძლო ნაწილის ინტერესებს დაიცავენ. ამისათვის კი პირველ ყოვლისა საჭიროა ისეთი ჯგუფის შედგენა, რომელიც სისტემატიურ ოპოზიციას გაუწევს სოცდაგარა პარტიას და წამოაყენებს დემოკრატიულ რეფორმებს. თუ კი ასეთი ჯგუფის დაარსებას ქართველობა იტვირთებს და სხვა ერის საუკეთესო წართომადგენელებსაც მოიხზობს, სრული საბუთი გვექნება ვიფიქროთ: რომ ახალი საბჭო მართლაც განახლდება და ქალაქის საქმეთა მიმდინარეობაში ახალი ხანა დადგება. ისინი არ უნდა შეამინოს წევრთა სიცოცხლე, რადგან ოპოზიციის ყოველგან უმცირესობაა, მაგრამ მიუხედავად ამისა ხშირათ იმარჯვებენ. ხოლო მომავალი კი ყოველთვის მისია. საკმარისია მისკენ იყოს სიმართლე, ხალხის თანაგრძნობა, დისციპლინა და საქმიანობა და თავისას გაიტანს. ერთი სიტყვით, ქართველ ხმოსნებს დიდი საკითხი აქვთ გადასაჭრელი, სახელდობრ: სურთ მათ იყვენ ქალაქის ხალხის ნამდვილი წარმომადგენელი, თუ სოცდაგარა პარტიის ერთი შტოთაგანი დარჩებიან? როგორ გადაჭრიან ამას—მომავალი დაგვანახვებს.

* *

ქიათურის მრეწველთა საზოგადო კრება, დანიშნულია დეკემბრისათვის. შავი ქვის საქმეები ყოველთვის დიდ ლაპარაკს და მითქმა-მოთქმას იწვევს როგორც საზოგადოებაში, ისე პრესაში. ერთათ ერთი ეს მრეწველობა ქართველების ხელში და რაღა გასაკვირალია ამაზე ამდენს ხმაურობდენ. ამ მითქმა-მოთქმის ცენტრი თითქმის ყოველთვის მრეწველთა საბჭოა. მას აბრალებენ უძრავობას, უსაქმობას, უნაყოფოთ არსებობას და ათას სხვას. რამდენათ მართალია ყველა ეს ადვილათ გაიგება საბჭოს მოღვაწეობის ანგარიშებიდან, რომელიც კრების წინ უნდა გამოდიოდეს და მრეწველთ ურიგდებოდეს,

მაგრამ საბჭო არასოდეს ასე არ შერება, ანგარიშს ბეჭდავს გვიან და სწორეთ კრების დროს არიგებს. ამ შემთხვევაში ვერც წევრნი ასწრებენ მის გაცნობას და ვერც მრეწველთა ლიანი კრიტიკით წარმოაქმას და ვერც მრეწველთა საბჭოს შესახებ თავისი მსჯავრი მის არჩევამდის წარმოაქვას. რატომ ასე აგვიანებს საბჭო თავის მოქმედების გამომკვლევას? ახსნა ერთათ ერთია: ანგარიში არ ლაპარაკობს მის სარგებლობათ და ამიტომ სურს ის რამენაირათ ჩააფუჩქოს ასე მოიმოქმედა მან 1900 წლის კრებაზე და ასე აპირებდა ახლაც. ჩვენ გვისაყვედურებენ, არაფერს ლაპარაკობთ კრებამდისო. მაგრამ რანაირათ ვილაპარაკოთ, როცა ანგარიში ხელს არა გვაქვს და არ ვიცით რა უწარმოებია საბჭოს ამ საწვოს. მართო ეს ფაქტიც საკმარისია, რომ საბჭოს მოქმედებაში ეჭვი შეიტანათ. საბჭოს მოღვაწეობა განიყოფება ორ ნაწილათ: მოღვაწეობა საგარეო და საშინაო. პირველი შეიცავს მთავრობასთან და უცხოეთში დაცვას მრეწველთ ინტერესებისა, ხოლო მეორე კი ქიათურის საქმეების გაწესრიგებას და მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობას. პირველი მეორეზე უფრო ძნელია და რომ ის რიგიანათ ვერ აწარმოვო დიდათ არ გავამტყუნებენ „დამაბრკოლებელი მიზეზი ბიაო“—იტყვით და დაგიჯერებენ. მაგრამ მეორეს, უფრო ადვილ საქმეებსაც თუ ვერ გააკეთებთ, მაშინ აღარ ვიცი რ საბუთით უნდა გაიმართლოს თავი, თუ არა უნიჭობით და უსაქმობით. და აი, ქიათურის საბჭოსაც განსაკუთრებით ამში ამტყუნებენ. ავიღოთ მაგ. 1900 წლის კრება. თითქმის ყველა საჭირ-ბოროტო კითხვები წაოყენებული იყო კრების წევრებისაგან და არა საბჭოსაგან. მაგ, პლატფორმა—ვაგონების განაწილება, ბანკის დაარსება, საბჭოს ქიათურაში გადატანა და სხ. და სხ. ამავე კრებაზე საბჭო პირ და პირ ემხრობოდა მსხვილ მაწარმოებელთ და ეწინააღმდეგებოდა წვრილთ. საკმარისია აიღოთ ხელში საბჭოს მოღვაწეობის მაშინდელი სხდომების ანგარიში, რომ დარწმუნდეთ, რამდენათ ვერ გაიმართლა იმედი ახლანდელმა საბჭომ და განსაკუთრებით მისმა თავმჯდომარემ. მაგრამ ყველაზე უარესი ი არის, რომ საბჭო სრულიადაც არ ათხოვებს ყურს კრების განჩინებებს და ისე თვითნებურათ განაგრძობს მოქმედებას მაგ. საბჭო არ აქცევს არავითარ ყურადღებას ქიათურის საავთმყოფოს, სადაც 20 ათასი მანეთი იხარჯება და ავთმყოფთ ყოველათ უმოწყალოთ ეპყრობიან; ახალი საავთმყოფოს ასაშენებლათ გადაუღვიათ 62,000 მან. მაგრამ საბჭომ მისი აშენება ჯერაც არ დაუწყია; აბანოს ასაშენებლათ გადაუღვია კრებას 8,000 მან., დაუხარჯავთ კი 75—80,000 მ. და სხ. და სხ. („ივერია“ № 248). ერთი სიტყვით საბჭო სრულიებით არ ემორჩილება კრების დადგენილებებს და მას ცვლის თავის სურვილისამებრ. 1900 წ. კრებამ დაადგინა საბჭო გადავიდეს ქიათურაში, ის კი ისევ ქუთაისშია. ამზე მეტი ურჩობა შეიძლება? კრება მოვალეა მის მიერ არჩეული საბჭო ან დაიმორჩილოს ან სხვა აირჩიოს, თვარა ამ ორგანოთა შორის ბრძოლა ქიათურის საქმეებს სამუდამო მოუღებს ბოლოს და მიწასთან გაასწორებს. შესძლებს კი ამ წლებანდელი კრება? ამას ადრე დავინახავთ. *)

*) ჩვენ ვურჩევთ ქიათურლებს იხელმძღვანელონ 1900 წ. დაბეჭდილ ანგარიშის გარჩევით, რომელიც მაშინ მოთავსებული იყო „კვალში“ № 40, საიდანაც დანახვენ თუ რანაირათ იცავენ მათ ინტერესებს მთავრობასთან.

სსვა-დასსვა ამბები.

წასულ კვირას 17 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე, თფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში დააფიცეს ახალი ხმოსნები. ფიცის დაწყებამდე ქალაქის მოურავის მოადგილემ, მ. ს. შესტაკოვმა, გააცნო ხმოსანთ საქალაქო დებულების ის მუხლი, რომლის ძალით მათ უნდა მიიღონ ფიცი, რათა პირუთვნელათ და გულწრფელათ ემსახურონ საზოგადო საქმეს. ფიცი მიადებეს ჯერ მართლ-მადიდებელ ხმოსანთ (24 კაცამდე), შემდეგ სომეხ-გრიგორიანებს (46 კაცამდე), კათოლიკებს (ორ კაცს), მაჰმადიანებს (ერთს), ხოლო სამმალიკანს ხელ-წერილი ჩამოართვეს.

თფილისის ახალ საბჭოს პირველ კრებაზე, 18 ნოემბერს სხდომის დაწყებისთანავე ქალაქის მოურავმა თხოვა საბჭოს აერჩია თავმჯდომარე იმ შემთხვევებისათვის, როცა საქალაქო დებულების ძალით ქალაქის მოურავს არ შეუძლია თავმჯდომარეობა, და ერთი წარმომადგენელი გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოში. ამორჩეულ იქნა საბჭოს თავმჯდომარეთ, 73 ხმით წინააღმდეგ 1 ხმისა, თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლოგორუკოვი, ხოლო საქალაქო საქმეთა საკრებულოლს წევრობაზე ყუთი დაიდგეს თავ. ვ. ს. მიქელაძემ და თავ. დ. ნიკ. თუმანოვმა. თავ. მიქელაძემ მიიღო 47 თეთრი და და 26 შ., ხოლო თავადმა თუმანოვმა 36 თეთრი და 37 შავი. ამ გვართათ გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოში ქალაქის წარმომადგენლათ არჩეულ იქნა თ. ვ. ს. მიქელაძე. საბჭომ ამავე სხდომაზე დაადგინა ქალაქის მოურავის არჩევანი დანიშნოს 16 დეკემბრისათვის.

ხმოსან ვესელოვზოროვს თფილისის ქალაქის გამგეობაში მოხსენება შეუტანია იმის შესახებ, რომ 12 წელიწადში ერთხელ თფილისის მცხოვრებთა აღწერა მოხდეს ხოლმე.


გამოცხადდა უმაღლეს მთავრობის განკარგულება, რომლით ამიერ-კავკასიის რკინის გზების თფილისისა და ბაქოს სადგურებზე მოსამსახურეთ—ინჟენერებს, მონტიორებსა და დარაჯთ—ნება ეძლევათ იარაღი ატარონ.

ზესტაფონში, როგორც „ცნობ. ფურც. იუწყება, ადგილობრივ ქალებს ოთხკლასიანი კერძო პროგიმნაზიის დაარსება განუზრახავთ.

კავკასიის ექიმთა მესამე საერთო კრება უნდა მოხდეს თფილისში 1905 წელს. ამ კრების ბიუროს მიუღწევია რკინის გზას ექიმის მ. ზ. ავთანდილოვისათვის შეიმუშაოს და წარუდგინოს კრებას სანიტარული და საექიმო მდგომარეობა ჩვენი მხრის რკინის გზაზე, და აგრეთვე სანიტარულათ რა მდგომარეობაშია სახელოსნოები და სადგომები ამ გზაზე.

მე-5 უბნის პოლიციას 1-ლ ღამის თავ-შესაფარის გამგებელისაგან მოუთხოვია ორი იქ შეფარებული გამომიგზავნო. გამგეს ამაზე უარი უთქვამს და თავ-შესაფარის გამგე კომისიისათვის მოუხსენებია. კომისიისაც დაუდგენია, რომ თავ-შესაფარიდან პოლიციას ნება არა აქვს კაცი არა თუ დაიბაროს, გაიყვანოს კიდევ ძალით; თავ-შესაფარი არც რმის მოვალეა რომ იქ მყოფ შეფარებულთა ვინაობა იძიოს და ამით შეწუხება მიაყენოს ღარიბ შეფარებულთათ; თუ ასე მოვექცით, ყველანი დაფთხებიან და თავშესაფარს მნიშვნელობა დაეკარგება. პოლიციას თუ ვინმე შეფარებულთაგანი უნდა

შეუძლია თავ-შესაფარიდან გამოსვლისათანავე დაიჭიროს და წაიყვანოს.



შარშან როტშილდის ქარხანაში ცეცხლი გაჩაღდა და ომდენიმე კაცი იმსხვერპლა. ქარხნის ვამგე ბ-ნი ფეიგლი და სხვები პასუხის გებაში იყვენ მიცემულნი იმიტომ, რომ წინდა წინვე არაფითარი საშუალება არ ქონიათ დამზადებული ამისთანა შემთხვევებისათვის საბრძოლველათ, რის გამოც ცეცხლი კაცები იმსხვერპლა. ბაქოს საოლქო სასამართლომ ბ-ნი ფეიგლი და სხვები გააპართლა, მაგრამ პროკურორს საქმე სამოსამართლო პალატაში გადმოუტანია. პალატა გუშინ, 23 ამ თვეს, გაარჩევდა ამ საქმეს.

ახალციხის ქალაქის სამმათველოს უთხოვნია გუბერნატორისათვის, ნება მოგვეცით ახალციხეში წიგნთ-საცავ-სამკითხველო გავხსნათ ერთ-ერთ რწმუნებულის პასუხის-გების ქვეშეო.

თფილისის გუბერნატორს დაუმტკიცებია თელავის ქალაქის მართველობის დადგენილება მოსიარულე ავთამყოფთათვის საავთმყოფოს დაარსების შესახებ.

დღემდის თფილისის ქალაქის საბჭოში სასულიერო წოდების მხრივ დებუტატათ დანიშნული იყო დიდუბის ეკლესიის მღვდელი მ. ცინცაძე. საქართველოს ექსარხოსს ამ თანამდებობაზე დაუნიშნავს ეხლა სამრევლო სკოლების მეთვალყურე ი. ვოსტორგოვი.

სასულიერო წოდების წარმომადგენლათ მთავარ-მართველის საბჭოში ეგზარხოსმა იგივე დეკანოზი ი. ვოსტორგოვი დანიშნა, რომელიც მხოლოთ საეროზო ხარჯების განხილვას უნდა დაესწროს იმ დროს, როცა ამ ხარჯებადან საეკლესია სამრევლო სკოლების დასაარსებლათ თუ შესანახათ ფული უნდა გადაიდოს.

ერთ საყურადღებო ამბავს ატყობიებს სოხუმიდან გაზ. „რუსკია ვედომოსტი“-ს, თავისა კორესპონდენტი: ტკვარჩელში ქვანახშირის მადნების დასამუშავებლათ ბ-ნ ბუტმის, რომელსაც ამ ადგილებში განცხადებულო აქვს რამდენიმე მადანის პოვნა, ინგლისელი ფულიანი კაცები შეუთანხმებია. ეს ფულიანი კაცები ბ-ნ ბუტმისა და ამხანაგებს აძლევენ ორ ნახევარ მილიონ მანეთს ნაღდ ფულათ და ექვს მილიონს—აქციებით. ინგლისელებს მოუწონებიათ პროფესორის ჰალოვის მოხსენება და ოჩამჩირეში მოვლოდებიან კიდევ ინგლისელ ინჟენერებს ამ საქმის საწარმოო ხარჯების ადგილობრივ გამოსაკვლევათო.

როგორც „ჩერომ. ვესტნ.“ იუწყება, ბათუმის საქალაქო დამატებითი არჩევნები განზრახულია მოახდინონ კვირას, 1 დეკემბერს.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ 18 ჯარის კაცი მიიწვია კონდუქტორებათ.

„დვორცოვის ნომრების“ ხმოსანთ დღეს, 24 ნოემბერს, კერძო კრება ექნებათ; უნდა დაასახელონ და აირჩიონ ქალაქის მოურავობაზე კანდიდატი და ჯამაგარიც განუსაზღვრონ.

საექიმო დებარტამენტს დაუვალეებია საგუბერნიო საექი-

მო დაქსებულებათათვის: გამოიკლივთ ფაბრიკებისა და ქარხნების სანატარული მდგომარეობა, რამდენი მუშა ხდება ავით ფაბრიკა-ქარხანებში და რამდენი ამათვანი იხოცება და ყველა ეს ცნობები დაუყონებლივ დეპარტამენტს წარმოუდგინეთო.

გამოვიდა მეთერთმეტე ნომერი საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილი“-სა. შინაარსი ამნაირია:

- 1) „ავ-ყია იგავი“ აღ. მირიანაშვილისა.—2) „ვასო და ქედანა“ (რუსულიდან) ბეს. ვაშაძისა.—3) „თრითინა“ ლექსი აკაკისა.—4) „ხამბახი“ (თარგმანი) მარო ყრისთავისა.—5) „კრაზანების შურისძიება“ (თარგმანი).—6) „მელოის თავგადასავალი“ ზღაპარი (გაგრძელება) აღ. ნათაძისა.—7) „ტურა“ ლუნკევიჩისა (თარგმანი).—8) „ვაუკევის არწივი“ ინდოეთის ლეგენდა (თარგმანი) ან. წერეთლისა.—9) „პატარა დედოფალი“ (თარგმანი) გაგრძელება ს. ციციშვილისა.—10) „ცვისი და ალციონა“ (ოვიდიუსიდან) ა. ყუმისთაველისა.—11) სხვა-და-სხვა ამბები.—12) წვრილმანი: „სახუჭრის მისაღები კათხვა, გამოცანები, ანდაზები, უჯრების ამოცანა, შარადები, რებუსი და სხვა.

მარგანეცის მრეწველთა კრება დანიშნული იყო 20 ამა ნოემბრისათვის ინჟინერ ა. გ. ცვიტლინის თავმჯდომარეობით.

ქალაქი კრების დანიშნვის შესახებ და სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამა ინჟინერმა ცვიტლინმა და ზღანოვიჩმა 14 ნოემბერს მოაღეს.

რადგანაც კანონის ძალით კრების დღე ერთი თვის წინათ უნდა ეუწყოს ყველა მწარმოებელთ, ამიტომ ინჟინერმა ბ. ცვიტლინმა და საბჭოს თავმჯდომარემ ბ. ზღანოვიჩმა დებეშით თხოვეს სამთა-მადნო დეპარტამენტის დირექტორს გვიშუამდგომლეთ მინისტრის წინაშე, რომ კრება გადადებული იქნას 14 დეკემბრისთვისაო. ამ ჟამათ შავი ქვის საბჭოს უკვე მიუღია ცნობა, რომლითაც მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ქიათურის შავი ქვის მრეწველთა საზოგადო კრება მომავალი წლის 7 იანვრისათვის დაუნიშნავს.

შავი ქვის მრეწველთა მომავალი კრების პროგრამა.

მარგანეცის მრეწველთა მომავალ (მეხუთე) კრებისათვის მთავრობას შემდეგი პროგრამა დაუმტკიცებია: 1. კრების მდივნის არჩევანი; 2. განხილვა ანგარიშებისა: კრების საბჭოსი, სარევიზიო კომისიისა შესახებ კრების შესავალ-გასავლის შემოწმებისა და ვაგონების განაწილების კომიტეტისა; 3. განხილვა და დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვისა; 4. მოხსენება შესახებ იმისა, რომ ქიათურას დაერქვას „პოსადი“ და შემოღებულ იქნას იქ თვითმმართველობა; 5. შეძენა ადგილებისა კრების შენობათა ასაგებათ; 6. ქიათურაში მომრიგებელ სასამართლოს დაარსება; 7. შავ-ქვავზე გარდასახადის რაოდენობის დადგენის გადაწყვეტა; 8. შავი-ქვის მწარმოებელთა კრების დებულების ზოგიერთ პარაგრაფების შეცვლა; 9. ქიათურაში ხაზინის დაარსება; 10. გამართვა საქიმიო ლაბორატორიისა; 11. შავი-ქვის გასარეცხათ ქარხნის გამართვა; 12. დაბალ და მაღალ სამთამადნო სასწავლებლებში სტიპენდიების დაარსება; 13. ქიათურის მადნების საგეოლოგო რუქის შედგენა; 14. ქიათურის რკინის გზაზე ტარიფის შემცირების შესახებ; 15. მოხსენება კომისიისა, რომელიც მესამე კრებამ აირჩია და რომელსაც დაევალა შეადგინოს ეს მოხსენება შესახებ სამთამადნო დაბალ სასწავლებ-

ლის დაარსებისა ქუთაისის გუბერნიისაში და აგრეთვე შავი-გერების ინსტიტუტის დაარსებისა; 16. გაწესება სახელმწიფო რაში არსებულ სამთო ზედამხედველთათვის პრაქტიკული კურსებისა; 17. ქიათურისა და ამიერ კავკასიის გზებით შავი-ქვის გადატანის პირობათა განკარგულება და სხვა სარკინის გზო და სანავთ-სადგურო საქმენი; 18. ქიათურაში სახელოსნო სასწავლებლის დაარსება; 19. ბრაზილიაში შავი-ქვის წარმოების ვითარება; 20. გზატკეცილებისა, მავთულისა და ხელოვნური ღარების გამართვა ქვის ჩამოსატანათ; 21. დაარსება ნაფიც მწონელთა ინსტიტუტისა; 22. მუშათა მდგომარეობის განკარგებისათვის ღონისძიებანი; 23. სასანიტარო და საბეითალო თვალყურის გდების ორგანიზაცია; 24. მადნებში მუშების დაზღვევის პირობათა შეცვლა; 25. არჩევანები: ა) საბჭოს თავმჯდომარისა; ბ) საბჭოს წევრთა; ვ) საწყობებისა და ვაგონების გამანაწილებელ კომისიის წევრთა და მათის კანდიდატებისა და გ) სარევიზიო კომისიის წევრთა დი მათის კანდიდატებისა.

კორესპონდენციები.

სოფ. აკათი. (გურია). წელსაც ისე, როგორც გასულ წელს, აქეთკენ ჭინჩხულის მოსავლა ძაღრ ნაკლებად ზოგაერთსათფლებს გზდა; ასე რომ წლეკანდელი მოსავლა შეიძლება დიდის გაჭირვებით გაზაფხულამდის ეუთ გამოსაკებათ აქურ მცხოვრებლებს. მაუხუდავთ იმისა, რომ ტუნა-კრეფა დასრულდა, ფუთა სიმინდი მინც 60 კაზ.—70 კაზეკამდე ფასობს, მაგრამ სუადელიც არსდა. ამატომ აქური მცხოვრებლები დიდ გაჭირვებაშა ჩავრდნაი.

არც დ. ნკომრას ვაჭრებს (დ. ნკომარი ზედეუ აკრავს აკეთს) უღიმის ბედი; თუ აქამდე სამი და ოთხი ნაქარა თავის აღით კერ აუდიოდა მუშტრებს, დღეს სამაგიერთ ძალის მეტი სქმე არა აქვთ რა. ან სიღან ეუოლებათ მუშტარი? თუ აქურმა გლეხმა ერთი-ორი გროში იგდო ხელში, იმ წამსვე სიმინდი უნდა იუიდას სამშაღის თავიდან ასშორებლას; აქური ვაჭრები კი, თითქო დღეკანდელი კრიზისი ვაჭრობაში მცხოვრებლების ბრალეოს, ეველაფერს ერთი-ორათ აფასებენ, ატუეუენ და ეოკლეკვარა სსშუალებით სტარდევან და გლეკენ უამისოთაც გადატაკებულ ხალხს...

თუ აქურა ვაჭრები ამას ჩადან და ხალხს ასე „დმობიერათ“ ეპურობან, სამაგიერთ არც აქური ფერმლები და ექიმბაშები ჩამოუკარდებან ამთ თავიანთი გულ-შემატევირობით. სიღირებუ და ნსეკრათ შიმშილბა იწვევის ავთმეოფობას, რადგანაც ხალხს არა აქვს იმდენი სსშუალება, რომ ზამთრისთვის იყადოს ტანთ-საცმელი და ფესსაცმელი, რომ არ გაციფდეს. აქურ ფერმლებს კი არავითარი სიბრალული არა აქვთ; თუ ავთ გავიხდათ რომელიმე ოჯახის წევრი და მიმართეთ ფერმლს, უკვედათ მორთული ცხენი და სამი მანეთი, ეგრეთ წოდებულ „ზრგანისთვის“ მსხათ უნდა გქონდეთ, თორემ, თუ ესენი არ მიართვით, ადგილიდან ვერ დაძრავთ. რა ქნას ამ შემთხვევაში იმ შემთხვევაში გლეხმა, რომელსაც, არამც თუ „ზრგანის“, წამლის ფულიც არ მოექვევა?!. იძულებულია ხდება ფერმლს თავი მანებოს და მიმართოს სოფლის ექიმბაშებს, რომელთა შესაკებული წამლები, ან უკეთ რომ ვთქვათ, სწამლავები, არა თუ განკურნავს ავთმეოფს, არამედ წუთ-სოფელს კემასსაღმებს კიდევ... ნუ თუ აქვთ უფლება იმ ფერმლებს, რომლებსაც მთავრობისაგან ზამაგიერი ეძლევათ, უსასყიდლოთ არ ინასულონ ავთმეოფი? ნუ თუ ამას მითხოვს ზნეობა და სამართლიანობა, რომ ხალხის გაჭირვებით ისარგებლან აქურმა ფერმლებმა? ნუ თუ საკარისი არ იქნება, რომ სამი მანეთის ადაგას მანეთი აიდას „ზრგანისთვის“ და მით

ცოტათ თუ ბევრათ ღარიბ ხალხს შეღავათი მიეცეს... უფრო სიტუაციით, საჭიროა ყველა ამას ჯეროვანი უზრუნველყოფა მიეძღვოს...

„უბედურ კაცს ქვა აღმართში დაწვია“... ამბობს ხალხური ანდაზა და სწორედ ეს ითქმის დღეს აქაურებზე; დღემდე გურულების სატრფიალო საგანს წიგნთ-საცავ-სამკითხველრობა შეადგენდენ...

შვირიკი.

სოფ. კონტრაქტი (ქუთ. მხრის). სოფელი კონტრაქტი უძველესი ხონის ჩრდილოეთის მხრივ.

ამ სოფლის მცხოვრებნი, რომელთა უმრავლესობას გლეხები შეადგენენ, არ აღემატება 190 კამძს. ისინი, გარდა მიწის მუშაობისა, ვაჭრობა-მრეწველობასაც ეტანებიან, დადიან ქალაქებში სამუშაოთ და სხ. ხონის სიასტრუქს ამ სოფლისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მკვიდრთ ადგილად მუდმივად თავიანთ ნამუშევარის და ხელის ნამაქმდარის (ხობა, წინდა, სარტყელი და სხვა) ხონის ბაზარში გატანა და გაყიდვა...

წლებადღეს სიმინდის სიძვირეს იმერეთში არც ჩვენი სოფელი აცდენია; ძვირია ისეთი. მოსახლე, რომელსაც წელს სიმინდი არ ეყიდას ორი-სამი თვის განმავლობაში მაინც, მაგრამ წლებადღეს კარგა მოსავალმა ყველა ახუკება.

გარდა ზევით დასახლებულ მნიშვნელობისა ხონს სწავლა-განათლების მხრივაც დიდი მნიშვნელობა და გააღება აქვს ამ სოფელზე. ძვირათ მიიზიარება ამ სოფელში ისეთი გლეხი, რომელიც სულით და გულით არ ცდილობდეს შვილის სასწავლებელში შეყვანას. ამიტომ მცხოვრებლების უმეტესი ნაწილი, თუ მეტს არა, ზირულ დაწვებით სკოლას მაინც ათავსებინებენ თავიანთ შვილებს. ბევრი მოსწავლენი, როგორც ქალები, აგრეთვე ვაჟები, არიან კონტრაქტიდან ხონის სასწავლებლებში. ეს მით უმეტეს შესაძლებელი სთება, რომ ხონის სიასტრუქსისა გამო კონტრაქტილებს თავიანთ შვილებისათვის ხონში სახლის ქირაება არ ჭირდებათ, რაც, რასაკვირველია, დიდა შეღავათია ღარიბი გლეხისათვის. კონტრაქტის თავისი ორკლასიანი სასწავლებელიც აქვს, რომელიც 1894 წ. აშენდა და რომელშიც კონტრაქტიელი ბავშვები ბლამით სწავლობენ.

ვარლამ ხუროძე.

დ. სამტრედიის კარგა მოზრდილი დაბა, მაგრამ ასე უზატრინოთ, მიგდებულს დაბას კი არა სოფელსაც იმავითათ შეხვდებით.

დავიწყოთ დუქნებიდან. დუქნების უმეტესობას სამიკიტნობი შეადგენენ, მაგრამ ისეთი სიბინძურე, როგორც აქაურ რესტორანებშია, ძნელი წარმოადგენია. ერთ და იმავე ოთახში სამზარეულოცა, სასადლოც, რუმბების საწოლიც, საწოლიც, დახლიც და სხვა... არც ერთ სასადლო სტოლზე გადაფარებული არა არის რა. უმეტეს ნაწილათ ჭურჭლებისა და სხვა რამეს ნარეცხ წყალს იქვე კარის მახლობლათ აქრევენ. ასე რომ, გამაანათებს მზე თუ არა, საცარი სუნი დგება. დამის გათვას ხომ ყოვლათ შეუძლებელია. ფეხის ადგილები უმეტესათ სულ არ არის, და თუ არის სადმე ისიც ზედ დუქნებზეა მიდგებული. დაბს, მიკითხველ, ძნელათ დასაჯერებელ სიბინძურეში ცურავს სამტრედია. მიუხედავად ყველა ამებისა, სამიკიტნობს მაინც ბუზივით ეხვევა მუშტარი.

სად არიან ამ დროს სანიტარები? დაბს, სამტრედიის კარგა მოზრდილი დაბა, მაგრამ ასე უზატრინოთ, მიგდებულს დაბას კი არა სოფელსაც იმავითათ შეხვდებით.

ქუჩები?! ოჰ, ნეტამ არ გამოსუნებოდა! სამტრედიის უფრო ვინც სამტრედიაში ისეთ ქუჩას მიხეხებს, რომ სახეობა-სახეობა საკლები ტალახი იდგეს. ეს მზიან დღეებში. ესლას წარმოადგენთ წვიმიანი დღეები. წამწვიმდება თუ არა, ტალახის მოკლი ზღვა დგას. ერთი ქუჩიდან მეორეზე გადასვლა—გმირობაა. და აი, ამ ლაფის მორვეში მიცურავს ყველა, დიდი და მატარა, ქალი და კაცი, მღვდელი და ბერი, კაკარდიანი და უკაკარდო.

აქ ყოველ მარსაკვს ბაზრობა იმართება და ისიც კარ მოხერხებიათ, რომ ის ადგილი მაინც მოკეპნათ, სადაც გასაყიდი ნივთები გამოაქვთ.

თუ ყველას მეტათ აწუხებს ეს აუტანელი ტალახი, შეეცადებენ კი ჯობეს უსქვლებს, რომლებსთვისაც აქ არც ტაქსა სუფევს და არც არაფერი. თუ ჩაგიკოდა ხელში, სულიდან ხორცამდე რომ წაიღოს, რაც გაბადა, გული არ დაუძლის.

მოგესვენებათ სამტრედიას სამკითხველს აქვს. აქაური ვაჭრების სასახელოთ უნდა ვთქვა, რომ სამკითხველსთვის 350 მან. გადაუდვით და ჩაუბარებიათ «მატრანებისთვის». აი ფული, თუ არ იკმარებს, კიდევ მოგიმატებთ, მხოლოდ სამკითხველს უნებრებით. „მატრანები“ აქეთ ედენ, იქით ედენ, დაფარდენდენ, ჯიოთი დასაქმიანდენ, გახეთქებში გამოცანადენ, იქირავს შენობა, გამოიწერს რამდენიმე ჟურნალ-გახეთები და მეტი არაფერი. მორჩა და მოიხვენა. განა ეს არ კმარა?! სამკითხველ მეტათ ცუდ ადგილზე არის მოთავსებული. უმჯობესი იყო ბევრათ ქვედა სათოულში მოეთავსებიათ. ამასთან საჭიროა ქვემო სათოულთან, სადაც სამკითხველში მადლა ასავალი კიბე იწყება, სადამობით განათებული ცეცხ. ურიგო არ იქნება ამასთანვე სამკითხველს „ვივიკსა“ მიაკრან.

აუცილებელ საჭიროებას შეადგენს სამტრედიისთვის საკვირათ სკოლის დაარსება. 200-მდე მომუშავე მარტო აბრეშუმის სახევე ქარხანაში არიან, რომლებიც არც წერა იციან და არც კითხვა. დეშის მუშები ხომ სულით და გულით ნატრობენ სკოლის გახსნას, მარა ვინ არის გამკითხველი. სამტრედიის შეგნებული ნაწილიც გრძობს სკოლის მიუცილებლობას. სულ ცოცხლოდ, კიდევაც შეიკრიბა ორჯერ, მარა... „ირეხა“ და „ირეხა“ თქვეს —კარგია სკოლაც—მორჩა და გათავდა. როცა ჯერი მიდვა ნება-რთვის აღებაზე. ყველამ ხმა გაჰმინდა, ყველა შეერთა, ყველა მიიმადა. ეს იყო და ეს.

თუ რომ ჩვენმა ინტელიგენციამ საკვირათ სკოლის ნება-რთვის აღება ვერ მოახერხა, სამკვირათ ქათმების მოშენებას ენერგიულათ შეუდგა. ამ ქათმების მოშენებულ საზოგადოებას, უეჭველია, მკითხველიც იცნობს. ეს ის საზოგადოებაა, რომლის დაარსებაზე ოთხი წერილი ყველა რუსეთისა და ადგილობრივ რუსულ-ქართულ გახეთებში დაისტამა. ამ დროებით ეს წერილები ინგლისურ გახეთებსაც გადაუბეჭდათ, რადგან, როგორც თქმია ადნიშნული, ამ საზოგადოებას თურმე ზირდაზირ ლინდონთან ექნება საქმე დაჯაბუელი და კვერცხების და ქათმების ბაზარიც ლინდონი იქნება. ამბობენ, მაკედონიაში აჯანუება ამ საზოგადოების დაარსების ზოლიტაურამ მნიშვნელობამ გამოიწვიაო. აი, ასეთი დიდი და მნიშვნელოვანი საზოგადოების შექმნის შემდეგ, მადი და უსაქმობა უკვირე სამტრედიის ინტელიგენციას. ყველა სამტრედიის და მის მახლობელ სოფლის ინტელიგენცია წვერია ამ ქათმებს მოშენებულ საზოგადოებისა. საზოგადოებას გამოეობაცა ეყენ და საბჭოც. გამოეობის მოვალეობას შეადგენს ქათმებს ადვენოს თავა-ყურა. საბჭომ კი ქათმის კვერცხებს უნდა მოუაროს. ხოლო მდივანმა წლის ბოლოს წვერებს ანგარიში უნდა წარუდგინოს, თუ რამდენ კვერცხს დებს თითო სხვა და სხვა ჯამის ქათამი დღეში, თვეში და წელიწადში. გამოეობის თავმჯდომარემ ამ

საზოგადოებას კიდევაც შეწინა ერთი წვედი ოქროს-ფერი დედ-მამადი, დიკუბი 70 მან. კრებ.ს მატონის სიტყვა მიცა: შეწინა ერთი კვირის განმავლობაში გამოკვანის ქუთაისის სა-მუერნეო სკოლიდან (თავმჯდ. ამ სკოლის მასწავლებელი). ამ-ბობენ, კიდევ გამოკვანა, მან გზაში მოგვარების სიმრავლი-ს გამო გული დასუსტება და თქვენი ჭირი წაუღია. აი, სმტრე-დიის ინტელიგენციის მოღვაწეობა.

დაის, სმტრედი უმეტრონა დაბა. და აი ამ უძღვლობის დროს, კატები უფუნ და უფუნ. დეზეს უფროსი აარსებს კურსებს მოსრდილ მუშათათვის. კურსები მალე დაიწება და შედგება მო-ღვთ ერთი განყოფილებიდან; იქნება მარტო წიგნების კითხვა. ამ გვარ კურსებს აქური საზოგადოება აღტანებით ეგებება; მა-გრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ კურსებს თვითონ მუშები არ მოეკადებიან თანავტობით. თუ რას წაიკითხვენ ამ კურსებ-ზე, — ეს უგვლასთვის ამგარა უნდა იყოს. ამ გვარი კურსების და-არსება მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მუშებს ისედაც მცირედი თა-ვისუფადი დრო მზარდონ, წართუან და კერძო განვითარების საშუალება მოუძონ. დღეს უგვლასათვის ცხადია, თუ რა სარგებ-ლობა მოაქვს ასეთ კურსებს მშრომელი ხალხისათვის. ერთი სიტ-ყვით კურსები მუშებს ზარდის მეტს ირას მოუტანს.

მას ვამისა შინა რამდენიმე ზირმა ქსენის დაარსებაც განიძ-რახეს; ურდობაც მოხდა, ოქმიც შედგა, 200-მდე კარმა ხელიც მოაწერა; მაგრამ... მაგრამ ოქმი სადღაც გაქრა! ამბობენ, ეს „გამქრობი“ წამალი აქურ აფეთქებში მომზადდა. ან კი რა გა-საკვირვებელია! განა ცოტა მზადდება აფეთქებში «გამქრობი» წამ-ლები?!

სმტრედიან კორესპონდენტებიცა უყვს. მაგრამ ახრებული რამ კორესპონდენტობა. ტლახში ვიხრებებით, საცარ სიბინძურე-ში ძალა უნებურათ ვსადიდებთ, მეტლენი ტყავს გვამბობენ, სა-კვირთა სკოლა არა გვაქვს, ქსენის ოქმი სადღაც გაქრა, საშვი-თხედაც ის შვითხედი არა უყვს, ვისთვისაც დაარსებულია, არა-ვითარი გონების მასწავლებელი რამ აქ არ იმართება, ვერსად კერძო ინიციატივას ვერ ხედავთ; ირგვლივ მხოლოდ ფარმაციის მი-გამეფებულა, უფლებიკეს ჩინოვნიკური ხასიათი და მიმართულების დადი აზის, და ამ დროს ჩვენი კორესპონდენტები, თითქმის გა-ფიცებულ, არც ერთი არ ეხება ამ საჭირ-ბორტო კითხვებს, გვარდს უფლის და გახეთის ფურცლებზე კი კორინტელს აყენებენ: ესა და ეს დავაარსეთ, იმან ეს დაარსა, ამან ესა, ამან ეს თქვა, იმან ესა და სხვ... ნამდვილათ კი არც არაფერი დაარსებულა და არც მოსალოდნელია, რომ ახლო მომავალში რამე დაარსდეს. კორეს-პონდენტი მარტო იმით კი არ უნდა კმაყოფილდებოდეს, რომ გა-ხეთის ფურცლებზე თავის სახელი და გვარი ნახოს გამოქმული, ან ზირადი ინტერესებისთვის ვინმე აქოს ან გალანდოს გახეთში და შემდეგ ნანობებში დაიკვებეს: ხომ გავაძვრე ტყავით. ასეთ შემთხვევაში ბეჭდვითა სიტყვა ხდება კერძო ზირახების, კერძო ინტერესების დამცველი და არა საზოგადო ინტერესებისა.

მადი და უგვლა ამებს შემდეგ ხუ იტყვი: სმტრედი უმეტ-რონა დაბა არაა!..

ოფიშტიელი

რუსეთის ცხოვრება.

1903 წელს, 9—15 თებერვალს ოდესში მოხდება მედი-კეთა და მეუენახეთა კრება, გამკე კომიტეტი უკვე შეუდგა საჭი-რო მასაღის შეკრებას.

— გზათა სმინისტროს სატენიკო განყოფილებამ ამას წი-ნათ დაავადა სამარა-ზლატურსტოვის რკინის გზის გამკეობას სა-ხელდონობათან გამართონ სატენიკო კურსები მუშა სელდონათა-თვის. გამკეობა შეკეთონ სახელდონობის გამკეებს, რადის ვა-ბა კურსების გამართვა. ამ კურსებისათვის მუშები კვირში რამ-

დენჯერმე განთავისუფლებულნი იქნებიან მუშობისაგან, თუმცა სა-მუშაო ფასი არ შეუმცირდებათ.

— ოქრობენ, ზატარა ქალაქები განთავისუფლდნ იმ სა-ჯისაგან, რომელთაც ისინი ზოლიციის შესახსათ შეკვიან სამუერ-ნეო დეპარტამენტი ამზადებს კიდევ ზოკეტს სახელმწიფო სა-ჭოში შესატანათ. ამ ზოკეტით შედგათი 40 ქალაქს მიეცება.

— ვიღონში, საინტენდანტო უწვების სახელდონში, საცა 200 მუშაა, როგორც ადგილობრივი გახეთი გადმოგვრემს, რვა საათის მუშაობა შემოუღიათ.

— მიწათ-მოქმედების სამინისტროს განუჩრავს რუსეთის სასოფლო-სამუერნეო საზოგადოებათა გაერთიანება და დაკავშირე-ბა. ზოკეტი საზოგადოებათა კავშირის სამინისტროს უკვე შეუ-მუშავებია. ამ ზოკეტს განსახილველათ სასოფლო-სამუერნეო სა-ბჭოს სესიას გადაცემს.

— ფინანსთა სამინისტროს შემუშავებია ზოკეტი ქალთა ახალი ტიზის საგომერცო სასწავლებლის: სწავლის კურსი ამ სკოლაში 7 და 8 წელიწადი იქნება.

— საცო განთლების სამინისტროს ახრდა აქვს, დაარ-სოს ახალი ტიზის საზოკეუბიონალო და სატენიკო ნორმალური სასწავლებლები. ასეთ სასწავლებლებში ოთხი კლასი იქნება. სა-სწავლებელს შემდეგი განყოფილებანი ექნება: საამქნებლო, საქი-მიო, სამქანოკო, სასოფლო-სამუერნეო და სამთო.

— ღაზარაკი იყო საშუალო სატეკო სასწავლებლის დაარსე-ბის შესახებ. მთავრობას ასეთის სასწავლებლის დაარსება ნაადრე-ვით უცნია

მთავრობის გამოცხადება.

„პრავიტელსტე. ვესტნიკ“-ში (მთავრობის მოამბე) შემ-დეგი ამბავია დაბეჭდილი: „4 ნოემბერს როსტოვში დონზე კავკავის რკინის გზის სახელდონობის მუშებმა, რიცხვით სა-მი ათასმა (3,000) მუშაობას თავი დაანებეს და გზის უფ-როსს სამუშაო დღის შემცირება, სამუშაო ქირის მომატება და ზოგიერთ ხელდონათა დათხოვა მოთხოვეს. თანაც განა-ცხადეს, რომ, სანამ ჩვენი მოთხოვნილება არ იქნება დაკმა-ყოფილებული, ჩანამ არ ვიმუშავებთო. რკინის გზის მთავ-რობამ განაცხადა, რომ მუშების მოთხოვნა-უკმაყოფილებას გზათა მინისტრს შევატყობიებთო. პირველ ხანს მუშები წყნა-რათ იქცეოდნ და ამიტომ მთავრობას მათ წინააღმდეგ არა-ვითარი საშეღებია არ მიუღია. 7 ნოემბერს გაფიცულ მუ-შებს გამაიცხადათ გზათა მინისტრის განკარგულება, რომ მათი მოთხოვნილება განუხილველი დარჩა, რადგანაც მუშებ-მა თავისი სურვილით დაანებეს თავი მუშაობასო და თავიანთ უფლებათა დასაცველათ თავდაპირველათვე კანონიერ საშე-ღებას არ მიმართესო. მუშები ანგარიშის მისაღებათ მიიწ-ვიეს და თანაც გამოუცხადეს სამუშაო სხვა ალაგას ეძიეთო. გაფიცვის დაწყებისათანვე შეამჩნიეს, რომ მუშებში დაბეჭ-დილი პროკლამაციები (მოწოდება) იყო დარიგებული. პრო-კლამაციებზე, რომლითაც გასაფიცავათ იწვევდნ მუშებს და რომლებშიაც მოყვანილი იყო ზემოხსენებული მოთხოვნილე-ბანი, რუსეთის სოციალ-დემოკრატის დონის მუშათა კომი-ტეტი აწერდა ხელს. შემდეგში პროკლამაციები თან და თან ბევრი ვრცელდებოდა და მუშათა მოძრაობას ზოგიერთ ად-გილობრივ ქარხნებში მომუშავენიც მიემბრო. 8 ნოემბერს დაიჭირეს ხუთი კაცი, მოთავე და წამქეზებელი, რომლებსაც თან მოწოდებები ქონიათ. 9 და 10 ნოემბერს მუშებს კრე-ბები ქონდათ ქალაქ გარეთ. რკინის გზის მთავრობამ გაფი-ცულებს 11 ნოემბერი დაუნიშნა ვადათ: ვისაც სურდა მუ-შაობა, ამ დღიდან უნდა დაეწყო, ვისაც არა—ანგარიში მიე-ღო. ამ დღეს, ყრილობისთვის რომ ხელი შეეშალათ, დაატუ-

საღეს კიდევ 6 მუშა აგიტატორი და 100 ყაზახ-რუსი გამოიყვანეს. მიუხედავად ამისა, 11 ნოემბერს მუშები მაინც იკრიბებოდნენ, ჯგუფ-ჯგუფათ, არ ასრულებდნენ პოლიციის მოთხოვნილებას და არ იშლებოდნენ. ცხენოსან ყაზახ-რუსები ათჯერ მაინც შეეცადნენ გაფიცულთა მათრახებით გაფანტვას, ამავე დროს ქვეითა ყაზახები თოფის კონდახებს ხმარობდნენ მუშების წინააღმდეგ. მუშებმა ქვეები დაუშინეს. ერთი აფიცერი დაშავდა, 9 ყაზახი დაიჭირა, — ამათში ორი მძიმეთ, პოლიციის მოხელეს ხალხმა თავი გაუტეხა, მუშები დაცინოდნენ ჯარს. ჯარის უფროსმა გააფრთხილა — იძულებულნი ვიქნებით გესროლოთო. — როდესაც მუშათა შეუპოვრობამ უკიდურესობამდე მიაღწია, ჯარს ებრძანა სასროლათ მოემზადეთო. 37-ჯერ გაისროლეს; ხალხი გაიქცა; 2 მოკლეს, 19 დაჭრეს, ამათგან 2 გადაიცვალა კიდევ. ამ გაფიცვამ იმ სახელოსნოებშიაც იჩინა თავი, რომელნიც სადგურ ტიხორეცკაიას მახლობლადაა. 15 ნოემბერს აკვეთეს მუშაობა და ყრილობა მოახდინეს ხალხმა, რომელსაც როსტოვიდან მოსული მეთაურები აქეზებდნენ, იგივე მოითხოვა, რაც როსტოველმა მუშებმა, 16 ნოემბერს ყუბანის ოლქის უფროსმა გამოუცხადა გაფიცულთ, ყრილობა აკრძალული გაქვითო; მაგრამ 17 ნოემბერს 1000 მუშა მაინც შეიკრიბა. ესენი არ დაიშალენ, ყურადღება არ მიაქციეს არც დარიგებას და არც ბრძანებას, ქვეებს ესროდნენ ჯარს და 12 ყაზახი დაჭრეს კიდევ. აფიცერს ნაჯახით ხელი გადაუჩხეს. ჯარის უფროსმა, რაკი ველარა გააწყო რა, ჯერ ხმაღს მიმართა, მერე თოფს. ხალხი გაიფანტა. 2 კაცი მოკლეს, 7 მძიმეთ დაჭრეს, ხოლო 12 — მსუბუქათ; 102 მუშა შეიპყრეს. მუშათა მოძრაობის მიზეზების გამოსაკვლევათ გამოძიებაა დანიშნული.

სახელმწიფო-გზრეთ.

გერმანია. მილიონერ კრუპის მოულოდნელმა სიკვდილმა მთელი ალიაქოთი და აურ-ზაური ატეხა გერმანიაში. დღემდე გერმანიის სალაპარაკოთ კრუპის სიკვდილი გამხდარა. დასაფლავებას ხომ გერმანიის იმპერატორიც დაესწრო. ამის გამო სოციალისტთა გაზეთი „ფორვერტს“-ი ამბობს, რომ ასეთ პატივს (იმპერატორის დასწრებას) ღიდებულნი და სულით ძლიერი ვირხოვიც კი ვერ ეღირსაო. დაუსრულებელი ლაპარაკის მიზეზი მოულოდნელი სიკვდილია. ზოგნი დაბეჯითებით ამბობენ, რომ კრუპმა თავი მოიკლა იმ ბრალდების გამო, რომელსაც სდებდა ზოგიერთი იტალიანური და სოციალისტთა ზემოსენებული გაზეთით. კონსერვატორები და გარდაცვლებულის მეგობარ-მახლობელნი ხომ პირდაპირ ამბობენ, რომ „ფორვერტსმა“ მოკლა კრუპიო. ეს ისტორია მეტათ საინტერესოა. ერთმა იტალიანურმა გაზეთმა გამოაქვეყნა, რომ კრუპი საშინლათ გარყენილი და გაფუჭებული კაცია; კუნძულ კაპრზე (იტალიაშია) მთელი სასახლე აქვს, სადაც საზიზღარ გარყენილებს ეძლევაო. ამიტომ კრუპი იტალიიდან გამოაძევეს. ეს ამბავი დაიხვია ხელზე სოციალისტთა გაზეთმა და მოსვენება აღარ მიცა მილიონერს. ბოლოს კრუპმა სასამართლოს მიმართა, მაგრამ გაზეთი ამასაც სიხარულით მიეგება. იმან საჯაროთ გამოაცხადა, ისეთი საბუთები მაქვს ხელთ, რომ მთელ ქვეყანას დაუმტკიცებ კრუპს სიბინძურეს და გარყენილებასაო. სამი დღის შემდეგ კრუპი წუთი სოფელს გამოესალმა...

ესლა მეგობარნი და თანამგრძობელნი კიცხავენ სოციალისტთა გაზეთს, მაგრე სასტიკათ არ უნდა მოქცეოდნენ განსვენებულსაო: კრუპი შეიძლება ავთომყოფი კაცი იყო, ხოლო ავადყოფს მკურნალობა უნდა და არა გაკიცხვაო. გაზეთი სამართლიანათ შენიშნავს დამცველთ, ასეთ

სიტყვებს რატომ მაშინ არ გაიძახით, როდესაც ლარობი კაცი ჩაიდგნს კრუპისთანა უღირს საქციელსაო.

კრუპი თავის ქარხნებითა და სიმდიდრით მთელ დელამიწახეა ცნობილი. საფრანგეთს გარდა თითქმის ყველა ქვეყნის ხელმწიფოს კრუპი უმზადებდა ზარბაზნებს. „პატრიოტობით“ არ აწვდიდა იარაღს, კრუპთან 150,000 მუშა მუშაობდა; 14 დირექტორი განაგებდა იმის ქარხნებს; საკუთარი რკინის გზები და ტელეფონები ქონდა. წმინდა წლიური შემოსავალი კრუპისა 25 მილიონ მანეთს აღემატებოდა.

როგორც ქველ-მომქმედს, კრუპს სახელი ქონდა გავარდნილი. გაშართა მუშათათვის სახლები, საუცხოვო საავადმყოფოები, ბაღები, დააარსა სკოლები, საპროფესიონალო სასწავლებლები, — ყველა ამას 12 მილიონი მანეთი მოანდომა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, კრუპი მუშებს არ უყვარდათ, რადგანაც იგი მუშას თითქმის კაცათ არა სცნობდა, მცირე წინააღმდეგობასაც ვერ ითმენდა იმისაგან და თხოულობდა, რომ ყვილანი ყურ-მოჭრილი მონები ყოფილიყვენ. მუშები ამბობდნენ და დღესაც ამბობენ, ჩვენ ფილანტროპია და მოწყალება როდი გვინდა, ჩვენ გვინდა უფლებანი, გვინდა ყველა კაცათ და ადამიანათ გვცნობდეს, ყველასთან თანასწორნი ვიყუეთო. მუშებმა აინუნზიაც არ ჩაავდეს კრუპის შეწირულებანი (სხვათა შორის მუშათა საპენსიო კასა 5 მილიონს შეიცავს) და უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნების დროს კრუპი გააშავეს. იმათ მხარი დაუჭირეს კრუპის მოწინააღმდეგე კათოლიკ-დემოკრატს.

აი, ასეთი იყო კრუპი, რომლის სიკვდილმაც ამდენი მითქა-მოთქმა ატეხა. რალა თქმა უნდა, იმპერატორნი და ამა ქვეყნის სხვა ძლიერნი საუკეთესო მეგობრები იყვენ კრუპისა. იმპერატორი არა ერთხელ და ორჯელ წვევია კრუპს და დაუღვევია მისი სადღეგრძელო. ეხლა, დასაფლავების დროს, ცხარე სიტყვით მიმართა კრუპის მუშებს, თავისი მეგობარი უწოდა და შეაქო განსვენებულის „ღვაწლი“. მოკლეს ღირსეული და პატრიოტი კაციო, თქვა სხვათა შორის იმპერატორმა; ამისი მკვლელნი ღირსნი არ არიან გერმანელის სახელს ატარებდენ. თქვენ ყოველი კავშირი უნდა მოსპოთ იმ ვაჟბატონებთან, რომელნიც გაზეთებითა და სხვა ხრიკებით ასეთ უღირს საქმეებს ჩაღიანო.

შემათავული შტატები. «ფრანკფ. ცაიტუნგ»-ს 9 ნოემბრის რიცხვით ასეთი დეპეშა მოსვლია ნიუ-იორკიდან: პენსილვანიის მადნის პატრონები ეხლა თანახმანი გახდნენ მუშებს სამუშაო ქირის 10% მოუმატონ, 9 საათის სამუშაო დღე დააწესონ და მუშების ტრედ-უნინთან საქმე დაიჭირონ. „ფრანკფ. ცაიტ.“-ის კორესპონდენტი შენიშნავს: „ასე რომ ქვა-ნახშირის მუშებმა გაიმარჯვეს. ეს გამარჯვება მომეტებულ ნაწილათ იმის ბრალია, რომ მუშების მეთაურმა მიჩელმა მეტის-მეტათ მშვენივრათ აუხსნა საქმე სამედიატორო კომისიას და მეტათ კარგი შთაბეჭდილებაც მოახდინა კომისიის წევრებზე. მადნის პატრონების მხრივაც კარგათ ილაპარაკეს იურისტებმა, მაგრამ მიჩელთან ვერას გახდნენ: მაინც ამის ნითქვამმა უფრო ძლიერი გავლენა იქონია კომისიაზე. კომისიაზე იმანაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მიჩელმა დაამტკიცა, ყველა ქვა-ნახშირის მუშების 90% გულის ქშენა მოდით და მომეტებული ნაწილი დიდხანს ვერა ცოცხლობენო“.

❖ კონგრესის წევრთა არჩენის დროს გამოაშკარავდა, რომ სოციალისტების რიცხვს ძლიერ უმატია ამერიკაში: 1896 წელს სოციალისტებს 36 ათასი ხმა ქონდათ, 1900 წელს — 126 ათასი, ეხლა-კი 500 ათასი მიელოთ. ამიტომ, უნდა

ვიფიქროთ, რომ 1904 წ., როცა პრეზიდენტის არჩევა იქნება, სოციალისტებს უფრო დიდი მნიშვნელობა ექნებათ.

✱ კლიველენდში უმთავრეს რკინის გზების წარმოადგენლებმა კრება მოახდინეს და დაადგინეს, ყველა მოსამსახურეებს ჯამაგირები მოემატოსო.

პენსილვანიის გზამ თავის მოსამსახურეებს ზოგს ჯამაგირის 10 პროცენტი და ზოგს 20-ც მოუმატა. ნიუ-იორკის უმთავრესმა რკინის გზამაც თავის მოსამსახურეებს 8—13 პროც. მოუმატა; ამ გზაზე 15 ათასი კაცი მსახურებს, ასე რომ წელიწადში ყველა მოსამსახურეებს 2 მილიონი მანეთი მოემატებათ. მოგლიან ამ დღეებში ფილადელფია-რიდინგის რკინის გზაც ჯამაგირს მოუმატებს მოსამსახურეებსა და სხვ. სულ 12 რკინის გზის ანხანავობა უმატებს ჯამაგირებს და ყველა ამ გზებზე მოსამსახურეებს 100 მილიონი მან. ჯამაგირი მოემატებათო.

✱ რკინის გზები ამ ბოლო დროს სულ პურსა და ნამეტნავათ ქვა-ნახშირს ეჭიდებიან. მას აქვთ, რაც ქვა-ნახშირს მუშების გაფიცვა გათავდა, ყველგან დიდძალი ქვა-ნახშირი მიაქვთ. სხვა საქონელი რჩება გადუტანელი და ამიტომ ზოგიერთმა ქარხნებმა, რადგანაც სამუშაო საქონელი ვეღარ მიიღეს, მუშაობა შეჩერეს; მარტო პიტსბურგის ოლქში 60 ათასი მუშაა უსაქმოდ დარჩენილი.

საზრახველი. ტურში, ერთ რესტორანში დიდი შეტაკება მოსვლიათ ოფიცრებსა და რესტორანში მყოფ სხვა საზოგადოებას. რესტორანის სცენაზე ერთ მომღერალს ლექსი უთქვამს. ოფიცრებს ამ ლექსის შინაარსი თავიანთ „მუნღირის“ შეტრაცუფათ მიუღიათ. ხელათ წასულან, პიჯაკ-სერთუკები ჩაუცვამთ, დაბრუნებულან და სტვენა დაუწყიათ მომღერლისთვის. დანარჩენ საზოგადოებას კი, რომელიც თითქმის მუშებისაგან შედგებოდა, ტაში დაუკრავს. ბოლოს საქმე მუშტი-კრივზე გადავიდა. ოფიცრებს რევოლვრების სროლაც დაუწყიათ. ბრბოს უნდოდა სსტიკათ მოქცეოდა თურმე მსროლელებს, მაგრამ მალე პოლიცია მოვიდა და მოჩუბარნი გააშველა.

✱ ნაციონალისტების დასში განხეთქილება მომხდარა. განხეთქილება იმას გამოუწვევია, რომ „ფრანგთა სამშობლოს ღივის“ თავმჯდომარე ჟიულ ლემეტრს აშკარათ გამოუცხადებია, პლემისციტის მომხრე ვარო. 7 ნაციონალისტ-დებუტატს გამოუცხადებია კიდევ, ლემეტრს წინამძღოლათ აღარა ვთვლითო. ერთ მათგანს პოლკოვნიკ რუსეს, „ჟურნალ დედება“-ს თანამშრომლისათვის უთქვამს: სინამ ლემეტრი მარტო ეხლანდელ მთავრობას ებრძოდა, მე და ჩემი მეგობრებიც ვუწყევდით დახმარებასაო, მაგრამ მას შემდეგ, რაც აშკარათ პლემისციტს მიემხრო, ნაციონალისტ-რესპუბლიკელებმა ყოველი კავშირი შეწყვიტეთ ლემეტრთანაო.

✱ ლუარის პრეფექტის ჩაგონებით ადგილობრივი მადნის პატრონები დათანხმდნენ მუშების პირობებს. მუშების პირობა ამნაირია: თუ დავის გადასაწყვეტათ მედიატორებს დანიშნენ, ჩვენც მუშაობას დაიწყებთო. მადნის პატრონების მხრივ მედიატორეთ ინჟინერი შოლა იქნება, მუშების მხრივ—სოციალისტი დებუტატი ბრიანი. თუ ვინცობაა მედიატორები ვერ მორიდდენ, მაშინ საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარეს ბალო-ბოპრეს თხოვენ დახმარებას.

✱ წარსულ პარასკევს ნაციონალისტმა დებუტატმა ლაზიმ წინადადება შეიტანა პალატაში, ყველას, ვინც კი საყოველთაო გაფიცვის დროს რამე დანაშაული ჩაიდინა, ეპატიოსნო, თანაც ითხოვა, ჩემი წინადადება დაუყოვნებლივ წინადადებათ იცნას პალატამო. ვაქრობისა და მრეწველობის მინისტრმა გამოაცხადა, ვიდრე გაფიცვა არ გათავდება, პა-

ტივებზე ლაპარაკი არ შეიძლებაო და სასოგო-აპოკატს ლაზიმ წინადადება კომისიას გადაეცესო. პალატამ 311 ხმის უმეტესობით 244 ხმის წინააღმდეგ ლაზის წინადადება დაუყოვნებლივ წინადადებათ აღიარა. მაშინ ლაზიმ მოითხოვა, ჩემი წინადადება ეხლავე განიხილოს პალატამო. პალატამ უარყო დაუყოვნებლივი განხილვა და 371 ხმის უმეტესობით 175 ხმის წინააღმდეგ დაადგინა: ლაზის წინადადება კომისიას გადაეცესო.

✱ წარსულ სამშაბათს ნაციონალისტმა დებუტატმა რომა პალატას წინადადება წარუდგინა: ყველა მთა-მადნის მრეწველ ანხანავობებმა მოგებაში წილი დაუდონ მუშებსაო. რომმა მოითხოვა, ჩემი წინადადება პალატამ დაუყოვნებლივ წინადადებათ აღიაროს და ამით მადნის მუშებს თანაგრძნობა გამოუცხადოსო. დებუტატმა დაუმატა: საცა სამართალია, ყველა მადნის მიღაროები სახელმწიფოთ უნდა ჩამოერთვას პატრონებს, მაგრამ, სამწუხაროთ, ასეთ წინადადების შემოტანა არ შემიძლიან, რადგანაც მადნების ჩამორთმევა რევოლიუციონური დონისძიებაა. პირველმა მინისტრმა ურჩია პალატას, რომის წინადადება იმ კომისიას გადაეცეთ, რომელიც მიღაროებში შრომის პირობებს იკვლევსო. რომმა ბეჯითათ მოიხზოვა, ჩემი წინადადება დაუყოვნებლივ წინადადებათ იცნას პალატამო. პალატა რომსაც დაეთანხმა და კომისიაც: რომის წინადადება დაუყოვნებლივ წინადადებათ აღიარა, თანაც დაადგინა, ხსენებულ კომისიას გადაეცეს განსახილველათო.

ავსტრი-უნგეთი. როგორც ვუწყით, მთავრობამ ავსტრიაში ჯარის გამრავლება განიზრახა. ამის გამო სოციალისტებმა დიდი მიტინგები გამართეს და ყველგან პროტესტი გამოაცხადეს. დიდძალი ხალხი დაესწრო კრაკოვში გამართულ მიტინგს. პირველმა ორატორმა, დებუტატმა დაშინსკიმ სთქვა, რომ მთელი ჩვენი ავლა-დიდება და ქონება ჯარს უნდებოდა. უკანასკნელ 15 წელიწადს მარტო ავსტრიამ (უუნგრეთით) 1,200 მილიონი კრონი მოანდომა. თვითველ მსკოგრებზე 833 კრონი მოდის. ამას გარდა სათადარიგო ჯარსა და ჟანდარმებს 11 წლის განმავლობაში მოუნდა 521 მილიონი. „ამ რიგათ, სთქვა ორატორმა, ამ ბოლო ემს, ვგრეთ წოდებულ „შეიარაღებულ მშვიდობიანობის“ დროს, ავსტრიამ 3 1/2 მილიარდი მოახმარა სამხედრო საქმეს. აი, ასეა საქმე და მთავრობა კიდევაც ცდილობს ჯარის გადიდებას. თუ მთავრობას ჩუმ-ჩუმათ და ნელ-ნელა უნდა თავის გეგმის განხორციელება, ჩვენ ვაღდებულნი ვართ ხმა-მალლა პროტესტი გავაცხადოთ. მილიტარიზმი ხუთავს სიცოცხლეს, წინ ეღობება საზოგადოებრივ განვითარებას, ამიტომ საჩხედრო კანონ-პროექტის წინააღმდეგ ყველამ უნდა აღამაღლოს ხმა; ყველამ უნდა დაიკეროს პირზე: „არც ერთი მეტი გროში, არც ერთი მეტი ჯარისკაცი“. ასევე ილაპარაკა მეორე ორატორმა ჩაკიმ. მიტინგმა დაადგინა წინააღმდეგობა გაუწყიოს ახალ კანონ-პროექტს. ასეთივე მიტინგები მოახდინეს სოციალ-დემოკრატებმა ლოვოსა და სხვა ქალაქებში.

ინგლისი. ლონდონიდან წერენ „Oriental Advertiser“-ს, რომ ინგლისის ერმა ლამის არის ძირიან-ბუღიძნათ შეცვალოს თავისი ისტორიული ყოფა-ცხოვრება და ხმელეთის სხვა დიდ სახელმწიფოებს დაემზავსოსო; იმასაც სხევივით უნდა მილიტარიზმი შემოიღოსო. ის ინგლისი, რომელსაც ამ რამოდენიმე ხნის წინათ ვერ გაუმხელდი, რომ ინგლისში საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სამსახური შემოეღოთ, რადგანაც ამას იგი კონსტიტუციისა და პარლამენტის უარყოფათა სთვლიდა და სტიუარტების აბსოლიუტიზმის აღდგენათ მიანდა,—ღიახ, სწორეთ ის ინგლისი დღეს

ადფრთოვანგმული ეგებება მილიტარიზმისა და საყოველთაო სამხედრო სამსახურის შემოღებას. ყველა ინგლისური გაზეთები მომხრენი არიან ხმელეთის ჯარში ძირითადი რეფორმების შემოღებისა, რაზედაც, მათის აზრით, დამოკიდებულია ინგლისის ყოფნა თუ არ ყოფნა. ინგლისის გამოჩენილი მხედართ-მოაზრებნი—ლორდი უოლსლეი, რობერტსი, მარკიზი ლანსდოლუმი, ბროდრიკი და სხვ. ამ ჟამათ მხედრობაში რეფორმების შემოღების პროექტს ადგენენ და სურთ იგი, როგორც ბილი, პარლამენტს წარუდგინონ დასამტკიცებლათ. ბილი, რასაკვირველია, ერთხმად იქნება მიღებული და ამნაირათ ინგლისში დამყარდება ის ცხოვრება, რომელიც მან სამი საუკუნეა რაც თავიდან მოიცილა. პრინციპიალურათ უკვე გადაწყვეტილია სამი დიდი კორპუსის შექმნა, რომლებიც ლონდონში, ლუბლინში და ედინბურგში იქნებიან დაბინავებულნი. სამხედრო რეფორმების შემოღების ერთ უმთავრეს მიზეზთაგანი ეკონომიური მოსახრებაა, მას შემდეგ, რაც მუშების ყოფა-ცხოვრება ინგლისში თან და თან გაუმჯობესდა, საშრომო ხელ-ფასმა მოიმატა და ხალხის გემოვნება-მოთხოვნილებანი გართულდა—გაფაქიზდა, მთავრობა იძულებული შეიქნა ყოველ-წლივ ორჯერ, სამჯერ მეტი ქირა მიეცა, თუკი ვისმე სამხედრო სამსახურში შესვლის მსურველს მონახავდა. ეს გარემოება ფრიად საგრძნობი იყო სახელმწიფო ხაზინასთვის. ქირაში ამოდენა აუარებელი ფული ინარჯებოდა და მიზანს მაინც ვერ ახწევდენ, რადგანაც ჯარში სალახანები და საექვო პატიოსნების პირნი შედიოდნენ. სამხედრო ჯარის რეორგანიზაციასთან ერთათ,—კარგესზონდენტის სიტყვით,—ფლოტიც უნდა გადიდდესო. აბა, ინგლისის ფლოტს რაღა გადიდება ეჭირვება!..

გაკველიანი. „Вечерн. Почта“-მ რილიდან 2 ნოემბრის რიცხვით შემდეგი ტელეგრამა მიიღო: „დიდ-ძალი მაკველიანი გადმოიხვეწა დღეს ბოლგარიში. ეს შავ-დღეზე გაჩენილი უბედურთა შეილება, მსხვერპლნი თათრების გამოუთქმელი სისასტიკისა, შემდეგ შემადრწუნებელ ამბებს მოგვითხრობენ თათრების სიმხეცის შესახებ... თათრეი საბრძოლო გლეხებს საშინლათ ტანჯავენ: თავზე ქუდის მზგავს ვავარვარებულ რკინას დახურავენ, ტანზე ნავთს დასხამენ და შემდეგ ცეცხლს წაუკიდებენ. მეორე გვარი წამება ამნაირია: 60—80 აღამიანს ბაწრით ერთათ შეკრავენ და ამნაირათ უსმელ-უტემელს იმდენ-ხალს აწამებენ, სანამ აუტანელ ტანჯავწვალებაში სული არ ამოხთებათ. სტეფანე მღვდელს დააგლიჯეს წვერები და ათასნაირი სიბინძურით სავსე წმიდა ბარძიმი მითავახეს!.. სამ დებს იანკას, სავეტას და მაგდა შარბონსკებს საშინელ ტანჯვაში ამოხთათ სული. ამ უბედურებზე თათრების ჯარის მთელმა რაზმმა დაიკმაყოფილა თავისი საზიზღარი ინსტიქტები... მამასახლისი კირანი, მისი ძმა ივანე და მღვდელი სტოილი (სამივე სოფ. ლეშკოდან არიან) გალახულობისა გამო სულთ-ებრძვიან. მამასახლისი ნიკოლაი საშინლათ აწამეს: ორი მისი მცირე წლოვანი ქალი მამის თვალ წინ გააუბატურეს თათრებმა. ამ ტანჯვის შემდეგ საბრძოლო მამა ცოცხლათ შამფურზე შესწვეს. სოფლის მასწავლებლის სტოიანცის ცოლსა და მის ქალს თათრების საზიზღარ კოცნასა და სიწამბორეში ამოხდათ სული. სოფ. სელიშხას მღვდელი ხრისტო ცალკე წამებისაგან და ცალკე იმისაგან, რომ მის თვალ წინ გააუბატურეს ყველა მისი თითქმის ძუძუ-მწოვარა ბავშვები, კეუხზე შეიშალა. სოფ. კარდევო, ლოგოდა და კლისურას მცხოვრებნი მთაში შეეფარენ, სადაც ყოველ-დღე სიცივისა და შიმშილისაგან აუარებელი ხალხი იხოვება. მთებში დიდი თოვლია. ასეთი საზიზღრობა ხდება მაკველიანში, მაგრამ ყველა აქ ნათქვამი მესვედ ნაწილსაც არ შეადგენს იმ ტანჯვა-წამებისას, რასაც ამ ჟამათ

მაკველიანის ქრისტიანებს თათრების ვერაგობა აყენებს... სოფ. ლეშკოდა და პატყეს ცეცხლი უკიდია. თათრების დიდ-ძალი ჯარი სოფ. გაბროვო და დაბოიშჩისაკენ მიდის; თავ-ხად და-ცემული სოფლებები მთებში გარბიან, სადაც, ეგებვლია, შიმშილ-სიცივისაგან ამოხთებათ სული... **ეროვნული გიგლიოთეკა**

მ ე გ ო ბ რ ე ბ ს

თუმც ღრუბელმა მზე დაფარა,
დაგვიზამთრა გაზაფხული,
მძაფრმა ყინვამ გაგვითოშა
ულმობელათ ნორჩი გული,

მაგრამ ამით ნუ შეკრთება,
მეგობრებო, ჩვენი გული,
აყვავდება კვლავ მიდამო,
კვლავ დადგება გაზაფხული.

ქარ გრიჯალი გადაფანტავს
ღრუბელთ გროვას მალლა ცაზე,
ჩვენს გარშემო მგლოვიარეთ
შემოახვეს ძაძას ტანზე.

მზეც თავს იჩენს და თვის სხივებს
მიმოაფენს ქვეყანაზე
და ღიმილით ჩამოგვძახებს
იმედია მომავალზე.

ყინვით დამზრალს გულს გაგვითბობს,
გვიალერსებს მშობლიურათ,
დაქანგებულ ჩანგის სიმებს
აგვიქდერებს საამურათ.

ჩანგის ხმაზე იადონიც
დაკენესს, დასტვენს ხმა ნარნარათ,
გვიგალობებს ციურ ჰანგით
ჩაგრულთ გულის გასახარათ.

მაშ, იმედი, მეგობრებო,
ნუ შეკრთება ჩვენი გული,
გვახსოვდეს რომ კვლავ დადგება
სანეტარო გაზაფხული.

დარია ხუნდაძისა.

მ ე გ ო ბ ა რ ს

გთხოვ, მეგობარო, გამიქრევი შავი ფიქრები,
რაიც გულს მიღრღნის, სულს მიწუხებს დაობღებულსა,
ამხადე ესე გლოვის ძაძა, გემუდარები,
წუთით დამატებე, წუთით მოვე შევება ტანჯულისა.

მიხხარი, რომე ცრემლის ფრქვევა აღარ არსებობს...
დედა თავის ბავშვს ყრუ ქუჩაში აღარა ტოვებს,
სატრფო სატრფოსა აღარა გმობს, აღარ ღალატობს
და სიყვარულში ეკლის გვირგვინს აღარ უტოვებს.

მიხხარი, მიხხარ, რომ ნათელი ბნელსა გაფანტავს,
ბედს თავისუფლათ ამღვრებს ტანჯულ-გვემული;
დამარწმუნევი,—თვარა ეჭვი გულს, სულს მიხუთავს,—
რომ კვლავ არსებობს ან სიმართლე ან სიყვარული.

ბ. ახოს-პირელი.

ერთგული დედა.

(რუსების ცხოვრებიდან)

სოფელი ფედოროვკა მთელს მის გუბერნიის ერთი ღარიბი სოფელი იყო. ეს საზოგადოება შეიკავდა ათასს კომლს და იყო დაყოფილი სამ პატარა სოფლებათ: რებროვკა, ვორონოვკა, მაქსიმოვკა და თვით ფედოროვკა, რომელიც შუაში მომწვედელიყო, ვითა ლობბარი და უფროსობდა კიდევ თავის პატარა ძმებს. აქ იყო სოფლის მოხელეთა რეზიდენცია, რომელსაც „ვოლოსტი“ ეწოდებოდა; იყო ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა, იყო საფოსტო განყოფილება და ფედოროვკელების ზუმბერაზი ეკლესია და ღარიბული მიწური ქობახები, რაღაც შეუფერებელ ჰარმონიას წარმოადგენდნენ.

ინტელიგენტთა წრეს შეადგენდნენ: სოფლის მასწავლებელი კონაპლიოვი, ფოსტის მოხელე აკაბარდინი მამასახლისი ფოკინი, — მისი ორი მწერლი, სოფლის ფერმალი ჩერდნიჩენკო და მოძღვარი — მ. მ. ისიდორე; თუმცა ეს უკანასკნელი არავითარ სასოფლო საქმეებში არ ერეოდა და არც სოფლის ინტელიგენტებთან იქერდა დაახლოვებით ნაცნობობას. იმას კარგა ბლომათ შეეძინა სიმდიდრე და უზრუნველყოფილი ცხოვრება. ცხოვრობდა თავისთვის განდევილივით. მამა ისიდორე თავის პირ-და-პირ მოვალეობას ნემეცური სიტუაციით ასრულებდა: სწირავდა, ნათლავდა, ჯვარს წერდა, მიცვალებულს ასაფლავებდა, ეკლესიაში ქადაგებას წარმოქვამდა და დანარჩენში კი ის მიუწოდებელი იყო. მის საზოგადოებას მისი ცოლ-შვილი და გარეშე სოფლებიდან სტუმრათ მოსული მემამულეები და სხვა და სხვა ჯურის მაღალ ხარისხიანი მოხელეები შეადგენდნენ.

მამასახლისი ფოკინი სამოსწავლო სემინარიიდან იყო გამოდგებული, რვა წელიწადი რუსეთის შიდა გუბერნიებში ნათრევს, ფედოროვკის ჯამაგირიანი მამასახლისობა არგუნა ბედმა. ექვსი წელიწადი უკვე შეესრულებია, რაც სოფლის საქმეებს მეთაურობდა და ამ ხნის განმავლობაში ისიც გვარიანათ გასუქებულ-იყო; თავისი სისასტიკით და ეშმაკობით მთელ საზოგადოებაში დიდი გავლენა მოეპოვებია. მის კანცელარიაში რომ შეხვიდოდით, ასე გეგონებოდათ მზრის უფროსთან შევედივარ რისიმე სათხოვნელათო. კარებში ასისთავი შეგაჩერებდათ: თქვენ ვინ გინდათ? თუ გლახი იქნებოდა, უკმეხათ მიიძახებდა: შენ რაღათ მოსულხარ? მიხაილ ფეიმოვიჩის ნახვა გინდა?

— დიხ, მინდა...

— მოიცა მოვახსენებ.

იმ წუთას ისარვიით გაქანდებოდა კანცელარიაში და მოახსენებდა: თქვენო კეთილშობილებავ, მიხეილ ფეიმოვიჩ, ამასა და ამას თქვენი ნახვა უნდა, მიბრძანებ შემოკუსვა?

მიხეილ ფეიმოვიჩი, რომელიც მოსჯდომია მწვანე ხავერდით გადუფარებულ გალაქულ კოხტა მაგიდას, თავს მალლა აიღებდა, და სასტიკის სახის გამომეტყველებით იტყოდა: კარგი... ვინ არის! ჰო, შემოვიდესო. ამ ოთახში მეორე მაგიდაც იყო უმცროსი მწერლებისათვის. უფროსი მწერალი ნატალკინი ფოკინის მაგიდის ერთ კუთხეში იყო მიმჯდარი.

ეს ნატალკინი 30 წლის გამხდარი და ძალზედ ნერვებ აშლილი კაცი იყო, მისი თხის ცანცარა გძელი წვერები და მუნისაგან გეთხლებული უღვაშები ამ კაცს ძლიერ სასაცილოთ ხდიდნენ. ერთ დროს ესეც კაცი იყო რწმენით, სიცოცხლითა და პატიოსნებით სავსე, მაგრამ ახლა კი უკვე მეგობარს, მაძთან მოაჩილს და სრულიათ მოკრუნხულს ფეიმოვიჩის გავლენის ქვეშ, თავისი „მე“ აღარ ებადა.

გლახები რომ შევიდოდნენ, ან უკეთ რომ ვთქვათ, შეიყვანდნენ „დოკლადით“ ფოკინთან, ყველანი ჩამწკრივდებოდნენ, როგორც ჯარის კაცნი და უმდაბლესათ თავყანს ცემდნენ; ფოკინიც ამყობდა, უხაროდა, რომ ასეთი სიმშრის ტრატული ნიჭი მიანიჭა გამჩენმა.

გლახს რომ მის კანცელარიაში ცოტა ხმა აემალღებია, ის იმ საათშივე ნაობახტში ამოყოფიებდა ურჩს თავს. თქვენა გგონიათ იყვირებდა? არა, ის სრულიათ აუღელვებლივ გადასძახებდა მახორკისგან აყოლოებულ მეორე ოთახში მყოფ ასის თავებს:

ეი, თქვენ! ვინა ხართ მანდა... მიხაილოვ, მახნაჩოვ! გამოდით, გამოდით აქ ჩქარა. წაიყვანეთ ეს ღურაკი ნაობახში, ეგდოს იქ დილაამდე. დილით-კი გამოაყვანინებდა. სანამ ბოდიშს არ მოახდევინებდა არ გაუშვებდა.

ბოდიშის მოხდა, მართლა რომ საარაკო და მასთან ადამიანის დამამკირებელი იყო. გლახი, ჯერ ტირილით ჩაიჩოქებდა, მერე ჩამეხობოდა, მოხვევდა მას ორივე ფეხებზე ხელებს და დაუწყებდა კოცნას.

მაპატიე მე სულელს მიხეილ ფეიმოვიჩი, თავის დღეში არ დავივიწყებ თქვენ სიკეთეს და სხ.

ფეიმოვიჩიც, მოხიბლული ასეთი ბატონყმური სცენით ამყათ უპასუხებდა: TO-TO! ადექ და მეტი აღარ გაბედო იცოდე.

ერთათ ერთი სოფლის მასწავლებელი კონაპლიოვი იყო აქ წესიერი ადამიანი. მხოლოთ ეს ეჯიბრებოდა და ეწინააღმდეგებოდა ფოკინს ყველაფერში, მხოლოთ ამას არ ეშინოდა მისი. მართალია, კონაპლიოვის ჯამაგირის მიმცემი ფოკინი იყო, მაგრამ მუდამ დროზე ისტუმრებდა, რადგან ფოკინს ეჯავრებოდა ეს „თვალში ჩხირი“ მასწავლებელი და ეშინოდა კიდევ — გახეთში არ ჩამწეროს, ან მთავრობასთან არ გამოამამულავენოსო.

ფოკინის მოხელე აკაბარდინი და ფერშალი ჩერდნიჩენკო სულ წყალ-წაღებული ადამიანები იყვენ. ორივე ზედმიწევნით ლოთები, კარტის მოთამაშეები, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ აკაბარდინი ჩერდნიჩენკოზე გაქნილი და გამსუნაგებული; ისედაც ზორბა კაცი იყო და ლოთობისგან ისე ქონდა სახე დაბიჟიყებული, რომ შეგეშინებოდათ სწორეთ. მისი საცხოვრებელი ბინა ოთხი შუათანა ოთახისგან შედგებოდა: ზალა, დასაძინებელი, სასადილო — და ქუჩისკენ-კი კანტორა ქონდა, სადაც დილის რვა საათიდან, ვიდრე სამ საათამდე თავ აუღებლივ მუშაობდა, სამ საათზე სადილს მიირთმევდა, ცოტას გამოიძინებდა და საღამომდე ისევ მუშაობდა. მისი ცოლი — მატრიონა ელისევენა ქმარსავით წარმოსადგვი და ლამაზი ქალი იყო. განათლება არ ქონდა, მაგრამ ვნებათა დეღვის ჟრუანტელი კი ძლიერ და ძლიერ ქონდა განვითარებული. ცოლ-ქმარს ერთმანეთი არ ეყვარლათ, ორთავესთვის სულ ერთი იყო ერთათ იქნებოდნენ თუ ცალკე-ცალკე; საერთო იმით შორის არა იყო-რა. ამათ აერთებდათ ერთმანეთთან მხოლოთ პატარა რვა წლის ტონიკა.

იმ დროს, როდესაც აკაბარდინი კანტორაში მუშაობდა, მატრიონა ელისევენა სოფლის შეძლებულ ვაჭრებთან რომლებთაც ნათლიას, თუ ნათლი-მამას ეძახდა, თავ-დავიწყებით ქეიფობდა და სადილობამდე პირუტყულ თინს იკლავდა. ქმარს მუდამ მთვრალი დახვდებოდა ხოლმე, ქმარმა იცოდა ყველა ეს, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა. რამდენათაც ცოლი ქმარს ატყუებდა, იმდენათ ქმარი გლახებს ატყუებდა. აი, როგორ ხდებოდა ეს:

შევიდოდა გლახი მარკის საყიდლოთ, ან „ხაკახნოი“, წერილის ჩასაბარებლოთ, თავს დაუკრავდა მოწიწებით და

ეტყოდა:

— წერილი მოვიტანე, ბატონო! მარკა მიბოძეთ აკაბარდინი თავს მალლა ასწევდა და სასტიკათ მიუგებდა:

— რა? წერილი მოიტანე?

— დიახ!

— მერე რა? დაღე ფულები და წადი.

— რა ღირს, ბატონო ერთი მარკა?

— სამი შაური, — უცბათ მიახლიდა. თუ გულ-უბრყვილო იქნებოდა გლეხი, მართლა მიაწვდიდა სამ შაურს და მიდიოდა შინ, იმ შემთხვევაში, თუ ის (გლეხი) კრიტიკულათ შეხედავდა მის საქციელს, მაშინ ფოჩტის მოხელე სხვანაირათ დაატრიალებდა ქაბრაქს და სიცილით ეტყოდა: ჰმ, ხა-ხა-ხა! გეხუმრე, გეხუმრე შე სულელო, მე გცდიდი შენ, ყოჩაღ რა გამოცდილი ყოფილხარ. გცდიდიო და ამით იშორებდა თავიდან ყოველივე დავიდარაბას. ასე ამ მანერით ის დღეში ორ-სამ მანეთს მანც ჩაჯიბავდა. საღამოს კი მოიყრიდენ ეს სოფლის განმანათლებლები თავს ფედოროვიკის მსუქან ვაჭარ პანპოპლავსკისთან და დილაღე გაქონდათ და ვამოქონდათ „ვერტუშკა“ და „პრეფერანსი“.

ერთ ზამთარს ფედოროვიკაში საიდანღაც შემოიპარა საქონლის შავი ქირი და ორ კვირაში თითქმის მუსრი გაავლო საცოდავ გლეხების მარჩენალ საქონელს. ბევრი ლოდინის შემდეგ მორიხინდა „ტროიკით“ მთავრობისაგან ქირთან საბრძოლველათ გამოგზავნილი ახალ-გაზრდა ბეითალი დუბონოსოვი და ჩამოხტა ფედოროვიკის „საზოგადო სახლში“ ყველა სოფლებში იყო ასეთი საზოგადოებისაგან დაქირავებული სახლები მოხელეთა და საპატო სტუმართა მისაღებათ და ღამის გასათევათ.

ჩამოხტა ბეითალი ტროიკიდან თუ არა, იმ წუთს „ვოლოსტში“ წაბრძანდა, გამოუტყადა მამასახლისის თვისი ვინაობა, აჩვენა დაბეჭდილი მოწმობა, სადაც სასტიკათ იყო ნაბძანები ყოველ გვარი დახმარება აღმოეჩინათ ბეითლისათვის ქირთან ბრძოლაში. იმ სათშევე გაიყოლა მამასახლისი, ხუთიოდე ასისთავი კეტებით და დაუწყო სოფელს ჩხრეკა; ძლიერ ბევრი საქონელი აღმოჩნდა დასახოცი, რამაც დიდათ გააბრაზა ბეითალი. და ნიშნათ ამისა სულ ილანძვებოდა და იგინებოდა... სულელებო, ვირებო, დოყლაპიებო, სათგქონდათ თვალები, სად? რათ რათ შემოუშვით ქირი ა? ვინ იცის სად არ დაეთრევით, თქვე შეჩვენებულეებო. სულ ასე ილანძვებოდა, თათქოს მართლა გლეხები ყოფილიყვენ რაშიმე დანაშავენი.

— წარმოიდგინეთ, მიხეილ ფეიმოვიჩი ჩემი მდგომარეობა, — მიმართა ახლათ გაცნობილს მამასახლისს — ჩემს დღეში სოფელში არ მიცხოვრია და ახლა, ამ პირუტყვების გამო (გლეხებზე ამბობდა) ერთი თვე მაინც უნდა ვიყუნო. ღმერთო, ჩემო! აქ სევდა მოკლავს კაცს, ასე არ არის?

— ჰო, ერთის მხრით თქვენ მართალი ხართ, ექიმო, — მიუგო ღიმილით მამასახლისმა. მოქალაქე კაცს, მართლაც რომ გეუცხოვებათ სოფლათ ცხოვრება, მაგრამ ნუ გეშინიათ ყველაფერს შეეჩვევით, ვეცდებით გაუართოთ, არ მოგაწყენთ. აქაც არის ინტელიგენტთა პატარა წრე.

— მართლა? აქ და ინტელიგენტთა წრე? ხა-ხა-ხა-ხა? დიდის სიამოვნებით გავეცნობი ყველას, მაღლობა ღმერთს, თორემ გაქცევას აღარა მიკლდა-რა. უნდა მოგახსენოთ, მიხაილ ფეომოვიჩი, რომ მე შეძლებული ვაჭრის შვილი ვარ და სამსახურში დროს ვასატარებლათ შევედი. მომაკლდება რა კმაყოფილება, მეც ერთ საათსაც არ დავდგები.

— თქვენ კარტის თამაში იცით?

— ოო, ვიცი და ვგრე?

მამასახლისის ეს ძლიერ იამა და გუნებაში ცბიერათ ჩიიცინა და გაიფიქრა: მაცალე, ბატონო ბეითალო, შენ მაშინ დაცინე ფედოროვიკის ინტელიგენტის, როცა შენც მამაშინ მონე სავსე გაგყვეს; მგონი პალტოს მაგივრად სწავნი შენც მოკრუნხული და ისე მიძუგძუგებდე ქალაქში მამაშენთანო.

ფოკინმა დუბონოსოს იმ საზოგადო საცხოვრებელ სახლში მიცა ბინა, სადაც პირველათ ჩამოხტა. მოსამსახურეთ ასი თავი კირილკა მიუჩინა და სასტიკათ უბძანა იმასა და სახლის პატრონს ბებერ ქვრივს ივანოვნას; — ღმერთი არ გაგიწყრეთ და ახლა ბატონი არ გააჯავროთ რამეხეო.

რადგანაც ივანოვნამ, საქმელების სუფთათ კეთება იცოდა, ამისათვის დუბონოსოვი გაურიგდა მას თვეში 15 მანეთათ და იქვე სადილ-ვახშობდა. ივანოვნა სიხარულისაგან ცას ეწეოდა, რადგან მის ცხოვრებაში 15 მანეთი თვიურათ არა ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

მიუხედავათ იმისა, რომ ის საზოგადო სახლის პატრონი იყო და წლიურათ ათ ოუმიანსაც იღებდა სახლის ქირათ სოფლისაგან, მაინც ყველაზე უსაწყლეს არსებათ ითვლებოდა. მას ამ ოთხ თვლიან ისლით დახურული სახლსა და პატარა ეზოს გარდა არა გააჩნდა-რა. ყავდა ერთათ ერთი 26 წლის ახლათ დაქორწილებული ვაჟი, ამას გარდა, ივანოვნას ყავდა უფროსი გათხოვილი ქალიშვილი ნადია, რომელიც იმ ეზოშივე მეორე კოხტა ქვითკირის სახლში ცხოვრობდა ქმარ-შვილით. ნადიას ქმარი ღრიცკო ფედოროვიკის შეძლებულ მეჩემეთ ითვლებოდა. ეს აბეზარი მეჩემე ღრიცკო, რომ არ ყოფილიყო მოხუცი ივანოვნას სიძე, იმასა და ნიკანორს ისე ვერ დეტანჯავდა ცხოვრება მაინცა და მაინც. ეს ღრიცკო ედავებოდა სიდედრს სახლის მოგების ნახევარს და ნათლიათ დამოყვრებული ფოკინის წყალობით ხუთ-ხუთ თუმიან სახლის ქირიდან თავისს სასარგებლოთ იღებდა, თუმცა ამხე არავითარი უფლება არ ქონდა, რადგან ივანოვნას მისი არა ემართა-რა, მაგრამ რა უნდა ექნა გულუბრყვილო, უიარაღო ივანოვნას გულ დვარძლიან სიძისა და ყოველათ შემძლე ფოკინის წინააღმდეგ. საცოდავი ნიკანორი მთელი კვირაობით მანდვრათ მუშაობდა სხვის მამულზე. წელზე ფეხს იდგამდენ ორივე დედა-შვილი და დიდის ვაი-ვაგლახით მილასლასებდენ გამწარებულნი გაძაღლებულ ცხოვრების ველზე.

ნიკანორი მალალი, შავგრემანი, შავი კოხტა უღვაშებით, მოპარსული წვერით, ნათელი და ხშირათ მოღიმარი სახით სასიამოვნო ყმაწვილ კაცს წარმოადგენდა. ბუნებით პატოისანი, ხასიათით ჩუმი, ხათრანი, თავახიანი და მოსიყვარულე გულით ის ეკუთვნოდა სოფლის იმ პირთა ჯგუფს, რომლებიც, რაღაცა მანქანებით ზნებრივ გახრწილების ქვეშ არ მოყოლიან. მისი გარმონზე და ქიანურზე დაკვრა მთელ სოფელში ნაქები იყო. ისე ოსტატურათ დაუვლიდა „ტრეპაკს“, რომ სოფლის გოგოები სულ დნებოდენ. ოჰ, დუშკა, ნიკანორჩიკ! ოჰ. ცაცა, კუდრიაკცევი! ტიტინებდენ ისინი სიყვარულით.

კარგ მიფარეან ღამეებში ფედოროვიკის გოგო-ბიჭები ჩვეულებრივათ თავს იყრიდენ ერთ ერთ მთავარ ქუჩაზე და გააჩაღებდენ სიმღერასა და თამაშობას. სიმღერის დროს გოგოები ღექსებში იულ ნიკანორის სახელს ურევდენ.

მისი ცოლი დუნიაშა თვრამეტი წლის ღამაში ყმაწვილი ქალი იყო, თურაშაული ვაშლივით ქონდა აღუებული ლოყები. რამდენათაც ის ღამაში და მიმზიდველი იყო, იმდენათ შორცხვი, გაუბედავი და უსიტყვო არსება! წარმოადგენდა. სამნივე დედა, შვილი და რძალი წარმოადგენდენ ერთათ შესისხლბორცებულ, სულიერათ შეკავშირებულს არსებათა კრებულს და უფროხილდებოდენ კიდევ ერთმანეთს.

ნიკონორი რომ კვირაში ერთხელ მინდვრიდან შინ დაბრუნდებოდა, დედისა და ცოლის სიხარულს საზღვარი აღარ ქონდა. ნიკონორის შინ მოსულით გახარებას ღუნიაში კისერზე ჩამოკიდებით და უთავბოლო ხვევნა-კოცნით კი არა ხატავდა, არამედ მარტო ერთ სიტყვას წამოიძახებდა: კანიუშა! და ისე მორცხვით, ისე ნაზათ და გრძობით იყრეს სიტყვა წარმოთქმული, რომ ნიკონორისათვის სხვა ახსნა საქირო აღარ იყო. ის ყველაფერს გრძობდა, ის ნათლათ ხედავდა ცოლისაგან მისდამი უზომო სიყვარულს და პატივის ცემას.

სულ სხვა იყო დედის ალერსი, რამდენათაც ღუნიაში, მისი იმედების, ენერჯის და მომავალი ცხოვრების გამაბრწყინვებელი იყო. იმდენათ დედის ალერსი; დედის დანახვა, მისი წარსულისა და აწმყო ცხოვრების კმუნვარების აღმძრველი იყო. ის ნათლათ ხედავდა დედის თვალებში აუწერელ სულიერ ტანჯვას და ეს ტანჯვა მის გულშიაც პოულობდა ბინას.

ტ. რამიშვილი.

(შემდეგი იქნება).

დ უ მ ი ლ ი

Книжка „Живоп. Обзор“ за септември 1902 г.

ნიკოლოზის რკინის გზის მატარებელი მიგვაქანებდა პეტერბურგიდან მოსკოვისაკენ. ვისხედით ჩვენ მეორე კლასის საწოლ ოთახის ცალკე კუბეში და ძალზე ვდუმდით. ჩვენ ვიყავით სამნი, დაახლოვებით ხნით ტოლნი, 30-დან 35 წლამდე. ცხადია, ჩვენ შორის შესაძლებელი იყო საერთო რამ კითხვები და ინტერესები, მაგრამ ერთმანეთის უცნობობის გამო ვერ მოგვეხერხება ბაასის დაწყება.

აღბათ, ასეთივე დუმილით ჩავიდოდით მოსკოვამდე, ერთ ჩვენ თანამგზავრს რომ არ გამოვეყვანეთ ამ მდგომარეობიდან. მაღალ, თეთრ-ქერა მამა-კაცმა, გძელ-თმა და უშნო ტანისამ, ზედა თაროზე ნივთების დალაგების დროს უცაბედათ ჩამოგლიჯა ფანჯრის ფარდები. ბევრი ეწვალა, თავისავე ალაგას დაემაგრებინა ის, მაგრამ ვერ მოუხერხდა. მივეშველეთ ჩვენაც, მაგრამ ამაოთ. საქირო გახდა კონდუქტორის დაძახება, რომელმაც მიამაგრა ფარდა თავის ალაგზე.

ამ ფაცა-ფუტის წყალობით ჩვენ აღვადეთ ბაგენი ჩვენი და გავეცანით ერთმანეთს. ულაზათო ქერა კაცი ტყის მცველი აღმოჩნდა, რომელიც შიდა გუბერნიებიდან სამსახურში მიემგზავრებოდა, მისი თანა მგზავრი კი არხიტექტორი იყო.

— ბატონებო, — დაიწყო მან მატარებელთა ნელ მიმოსვლაზე საჩივრის შემდეგ, — განა მართალი არ არის, რომ ჩვენი, რუსების, ამოძრავება და აღაპარაკება მეტათ ძნელია? ჩვენ, თითქო, საშინლათ გვეხერხება დუმილი და მტკიცეთ შეგვიგნია ის წესი, რომ მრავალ-სიტყაობაში შევლა არ არის. გარმოდისა და არისტოგიტონის დროს რომ გვეცხოვრა, ნამდვილ გმირებათ ჩავირიცხებოდით ჩვენი ასეთი სიჩუმე — დუმილის ნიჭის გამო.

— მე როგორღაც სრულდებით არ მახსოვს ასეთი კაცები, — ჩაურია სიტყვა ტყის-მცველმა. — აღბათ ძველი ისტორიიდან არიან.

— ილოვასიკიც კი დაგვიწყნიათ, ძმობილო, ამათ ხომ ისიც იხსენიებს. ათინელ ტირანთა გიპისა და გიპარხის წინააღმდეგ ამათ პაწია ოპოზიცია გამართეს და სიკვდილიც მოიპოვეს. იმ დროში ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. მაგრამ, აი, როცა გარმოდის მოკლეს, და არისტოგიტონი კი ტყვეთ წაიყვანეს, მაშინ დაიწყო უკვე არა ჩვეულებრივი და იმავე

დროს მეტათ ლამაზი საქმე: ძველ დროში ხომ თითქმის ყველაფერი ლამაზათ ხდებოდა.

— მომიტევეთ, ბატონებო, — შეწყვიტა ამბავი არხიტექტორმა და მისი პაწია სხელი მოიკუმშა საიარძელში, — მე, მართალია, კლასიკი არა ვარ, მაგრამ მიყვარს ძველი ქვეყანა. ის გამომეტყველია დიადი სილამაზისა და ძალისა. შექმნა ლეგა ჩვენ ეს მხოლოდ შორიდან გვეჩვენება ასე და ნამდვილათ კი ბევრათ უარესობა და წვრილმანობა იყო, მაგრამ, ჩვენ ხომ საქმე გვაქვს იმ ძველ ქვეყანასთან, რომელიც წარმოგვიდგენია, და მაშ საქიროა მივილოთ და ვირწმუნოთ, რომ სწორეთ ასეთი იყო ისა.

— ახლა კი, თუ ნებას მომცემთ, მოგაგონებთ ამ ვაჟ-ბატონებს, ნამდვილათ კი ერთ მათგანს, არისტოგიტონს, რადგან გარმოდის პირველ ხანებშივე მოკლეს და მახე ლაპარაკის გაგძელება მეტია და ამ შემთხვევაში არც გაგვაოცებს მისი სიჩუმე. მკვდარს საქმაო მიზეზი აძეს, რომ ლაპარაკში არ ჩაერიოს.

— თუ გახსოვთ, გიპი და გიპარხი მკვიდრი ძმები იყვნენ, უმაღლესათ განათლებულნი, ხელოვნების მოყვარულნი და მფარველნი, როგორც ბერძენ ტირანთა მეტი ნაწილი, მაგრამ ამავე დროს მბრძანებელნი და სასტიკნი. როცა გარმოდის და არისტოგიტონმა ააჯანყეს ათონელნი და გიპარხი მოკლულ იქნა, დარჩენილ გიპიმ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია შეამბოხეთ. ყველას, არა თუ მარტო საექვო პირებს, არამედ ვინც კი შესაძლო იყო ასეთ საექვო პირათ გაშხდა-რიყო, იჭერდენ, სდევნიდენ ან კლავდენ, ხოლო მათ ქალებს თვითონ ეპატრონებოდენ. შეიპყრეს აგრეთვე არისტოგიტონიც და, რადგან ის გარმოდისთან ერთათ ამბოხების სული და გული იყო, მისცეს უსასტიკესს წამებას, რომ გაეცა მას მისი თანამოაზრენი. სწორეთ აქ გამოიჩინა მან ისეთი საოცარი ნების ძალა, რაც ყოვლად მოულოდნელი იყო განებიერებულ ათინელ არისტოკრატისაგან.

რა ტანჯვის გამოგონებაც კი შეეძლოთ მტარვალობაში დახელოვნებულ ტირანის მახლობელთ, ყველაფერი სცადეს ამ გმირ ადამიანზე, მაგრამ არისტოგიტონმა ბოლომდე მოთმანებით აიტანა ყოველივე და ერთი სიტყვითაც კი არ გაუცია თავისი მხანაგები.

გიპის ხელში იყო აგრეთვე არისტოგიტონის საყვარელი — ლენა. რაც შეუძლებელი იყო არისტოგიტონისაგან, რასაკვირველია, ადვილი უნდა ყოფილიყო სუსტი ქმნილებისაგან — ქალისაგან, რომელმაც იცოდა შეთქმულთა სახელები. მაგრამ ყველას გასაოცრათ სუსტი ქალიც ისეთივე შეუდრეკელი და ამტანი გამოდგა, როგორც მისი სიყვარული. ისიც ისე სდუმდა და ისევე განუტევა სული წამებაში და ერთიც არავინ გაუცია.

ამბოხება ჩააქვრეს, მაგრამ ენა მრავალ ათინელთა გონებაში ისე ძლიერათ აღიბეჭდა არისტოგიტონისა და ლენის დიდებულს სურათები, რომ ესენი მათ მეგობარ გაიმოდითურთ ნამდვილ გმირებათ დარჩენ დიდ ხნით ხალხის გულში. ხოლო პოეტ კალისტრატეს სიმღერა, რომლითაც მან შეამკო ეს სახალხო გმირები, იქცა საყვარელ სუფრულ სიმღერათ და მთელი საუკუნეები იცოცხლა.

— დუმილი დუმილისაგან განირჩევა, — შენიშნა ტყის-მცველმა. — მაგი დუმილი იყო ამაყი, ის იყო დუმილი ენამტვერობაზე უფრო მაკვეთი, „დუმილით გიხმობ“, ამბობდა ძველი რომაელი, ხოლო ჩვენი დუმილი, საქუხაროთ, უმთავრესათ იქიდან წარმოსდგება, რომ ან არა გვაქვს რა სათქმელი ანა და გვეშინია თქმისა. არა, ჩვენი დუმილი არაფერი მოსაწონია.

— არც ვიწონებ მას,— მიუგო არხიტექტორმა,— მინდა მხოლოდ აღვნიშნო ის კეთილშობილი დუმილი, რომელსაც დიდი გავლენა ქონებია ხალხთა ცხოვრებაში, და რომ ჩვენს დუმილს, მიუხედავად მისი გარეგანი უცნაურობისა, მაინც კოტაოდენი ფასი აქვს.

— არავითარი ფასი არა აქვს,— გააწყვეტია უკვე გულმოსულმა ტყის მცველმა.

— რას ამბობთ, როგორ არ აქვს ..

აქ დაიწყო ჩვენს საზოგადოებაში ცნობილი ერთი იმ ჩვეულებრივ კამათთაგანი, რომლის დროსაც ორნივე ლაპარაკობენ ერთად და არც ერთს ერთი-მეორისა არა ესმის რა.

შე კი ამ დროს მომაგონდა უკვე დავიწყებული ერთი ნაცნობი დედაკაცის ნაამბობი, რომელშიაც უმთავრესს როლს აგრეთვე დუმილი თამაშობდა, მაგრამ არა კეთილშობილი, ძველებური დუმილი, არამედ ჩვენებური, რუსული, მძიმე და ბრიყვული.

II

დედაკაცი, რომელიც მომაგონდა, იყო ცოლი ერთი ვაჭრისა, რომელსაც შემთხვევით გავეცანი და ვისთანაც ხშირი სტუმარი ვიყავი. ცოლ-ქმარი თითქო თანხმობით ცხოვრობდნენ, მხოლოდ შვილი არა ყავდათ და ამ გარემოებას, ჩემი აზრით, სამძიმო გავლენა ქონდა მათ მშვიდობიანსა და უზრუნველ არსებობაზე.

ასე ვფიქრობდი მანამ, სანამ ელენა ივანეს ასულის— ასე ეძახდნენ ჩემი ვაჭრის ცოლს— გულუბრყვილო სიწრფელებმ არ გამიმეღვანა მე სინამდვილე.

საზოგადოებრივად აღამიანი უფრო გულწრფელია ან შებინდებაზე, როცა იგინი ბაასობენ და ერთმანეთის სახეს არ ხედვენ, ან გვიან საღამოს ჩაიხე, როცა დღის განმავლობაში მოქანცული ნერვები რამოდენიმეთ სუსტდებიან, ხოლო აღამიანი კი ამის მიხეზით თითქო უფრო დუნდება და კეთილის გულისა ხდება.

აქ კი სულ წინააღმდეგი მოხდა. ჩემმა ვაჭარმა, რომელთანაც შევედი არა ჩვეულებრივად საათის 12-ზე, კოტათი ისაუზმა და წავიდა თავის სავაჭრო საქმეების გამო, და ელენე ივანეს ასულმა, როგორც დიასახლისმა, თავის მოვალეობათ მიიჩნია გავერთე მე მუსაიფით.

სხვათა შორის მე შევაქე-მისი მეუღლის კეთალი და მხიარული ხასიათი.

— გრიგოლ მიხეილის ძე მხიარულია,— დამეთანხმა ის,— ხუმრობაც უყვარს. მაგრამ არც კი დამიჯერებთ, თუ როგორ მეშინოდა მე მისი. ღმერთო ჩემო, რა საშინლათ მეშინოდა მისი!

— ვისი, გრიგოლ მიხეილის ძის?— გავიკვირვე მე,— ეგ შეუძლებელია. ის ისეთი კეთილი გულის კაცია.

— ასეა და, მაგრამ მე კი მეშინოდა. უნდა იცოდეთ, როგორ მეშინოდა. პატარა აღარ ვყოფილვარ, როცა მას მიმათხოვეს 18 წლისა ვიყავი. მაშინ ის ძალიან ლამაზი იყო, მაგრამ მე მისი სილამაზის კარგათ დანახვასაც ვერ ვახერხებდი, ისეთი სასტიკი, ისეთი პირქუში იყო. დედა მისი, აწ გარდაცვალებული, ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს, ძალიან მკაცრი დედაკაცი იყო, თავის ნება და გესლიანი. რაღაც ამოგვიჩემა თვალში და გვქუცტავდა. აი სწორეთ ისე, როგორც ტყეში ბებერი ხე წაიქცევა და ბევრ ნორჩ ხეებს გასრესავს ხოლმე. ზოგი ხე კი შემდეგ ისევ წამოჰყოფს თავს, თითქო არაფერი არ მომხდარიყოს, შტოებსაც გაისწორებს, მაგრამ დაშავებულობას მაინც ვერ ფარავს. აღარ ეტყობა ის წინანდელი სისწორე და სინორჩე.

სწორეთ ასე დავაწევა თავს ჩემი დედამთილი. ისეთი რამ ცუდი მისგან არა გვინახავს რა, მაგრამ სულ სხვა გვა-

რათ გვხრავდა, დღე-დღეზე სიციხლეს გვიწუწუნდა. ვცხოვრობდით ჩვენ ცალკე ოთახში, მაგრამ ესადაგობდით დედამთილთან ერთად. გრიგოლ მიხეილის ძე, მთელი დღე დახლში იდგა, ჩემი დედამთილი კი მთელს დღეობის სადილ შემდეგისათვის ინახავდა, სადილზე კი სამწივე ისე ვისხედით, თითქო პირი წყლითა გვქონდა სავსე, სადილს შემდეგ მოჰყვებოდა ქრიალს ჩემი დედამთილი.

ეს რა ამბავია, საყვარელო შვილო, რომ სულ ჩუმათა ხარ, ვილაპარაკოთ.— საზოგადოებრივად ასე დაიწყებდა ბაას და შემდეგ ვეღარა შეაჩერებდა რა, ფქვავს და ფქვავს დაუსრულებლივ და შეუსვენებლივ. მერე რა? ურიგო რამ სიტყვით კი არ იგინება, არა ისე წრიბინობს, წრიბინობს, რომ ეს ასე არ არის, რომ ეს ასე უნდა, რომ ცოლი გააუთაურა, რომ დედას პატივს არ სცემს; ასე და ამ ნაირათ იკბინება, ილანძღება, საყვედურობს.

ის კი სდუმს. სიტყვასაც არას კადრებს. მე კი ვარ მოკუნტული ჩემთვის და ვფიქრობ: მეც არა მომწვდეს თქო. მართლაც, მე თითქმის არ მეხებოდა, მეტათ წვრილმანათ მაგდებდა, რომ რამე ეთქვა

ბოლოს დაიქანცება, მოსვენება მოუნდება, და იტყვის: „ეეჰ! რა გელაპარაკოთ, კუზიანს საფლავის მეტი ვერა გაასწორებს რა“.

ამ ნაირათ მოვშორდებით ერთმანეთს. თითქო უნდა გვიხაროდეს, რომ ტანჯვას მოვრჩით, მაგრამ არა, ჩვენთვის ეს სინარულიც არ არის. მივდივართ ნაცემივით გაბუტულნი; ერთმანეთს არ უცქერით, მივდივართ ჩვენს ოთახში და სიტყვაც ვერა მოგვიხერხებია რა ერთმანეთს უთხრათ, ვართ ჩუმათ, თითქო რაც სათქმელი იყო ყველაფერი ჩვენს ნაცვლათ დედას დაეთავებინოს. ვზივართ და ვსდუმთ. ასე დღე მუდამ.

თითქო არ უნდა მეშინოდეს მისი, რაც ყოველ დღე იმას შევცქერი, თუ როგორ ამოწუმპულ ქათამივით აფუღულა დედის წინაშე, მაგრამ მეშინოდა კი. და როგორ მეშინოდა! ზის ის პირქუშათ და სდუმს, ხოლო შემხედვას თუ არა, უკვე სახეზე ვკითხულობ, თუ რა უნდა. როგორ ვხედავ ამას, როგორ ვატყობ, ვერ გეტყვით, მაგრამ ვხედავ, ვატყობ კი.

ხელათ გავაკეთებ რაც უნდა, ისე, უსიტყვოდ, და ისიც სდუმს, ისევ ისე პირქუში-დინჯი. აი ასე და ამ რიგათ 15 წელიწადი ვიცხოვრეთ ჩვენ ერთად დედის სიკვდილამდე, სასუფეველი დაუმკვიდროს უფალმა,

ძალიან დარდობდა გრიგოლ მიხეილისძე დედაზე, პირველ ხანებში კიდევ უფრო დადინჯდა. მხოლოდ აგერ ხუთი ექვსი თვის შემდეგ ვატყობ, რომ თითქო ვილაკას ჩემი გრიგოლ მიხეილისძე გამოეცვალოს. ჩვენთან შემოვა ვინმე, თუ ჩვენ შევალთ სხვასთან, ვხედავ, ვრიგოლ მიხეილისძე იღიმება, ხუმრობს, სიცილსაც კი იწყებს და სულ უფრო და უფრო მხიარული ხდება, ვხედავ, მეც ხნასა მცემს, ზოგჯერ გამეხუმრება კიდევაც. ერთის სიტყვით, არც თვალს, არც ყურს ჩემსას არ დაუეჯერებდი, მხოლოდ ვხედავ, როგორ ყვავის ჩემი გრიგოლ მიხეილისძე, და ვგრძნობ, რომ ის წინანდელი მისდამი შიშიც დაიკარგა. სწორეთ სასწაულები მოხდა. ერთხელ ვარ ჩემთვის დაფიქრებული და ვეუბნები მას:

— გრიშა, გრიშა, ეს რა ამბავია, რომ შენ სულ სხვა შეიქენი?

— როგორ სხვა? რაც ვიყავი, ისა ვარ.

— არა, გრიშა,— ვეუბნები,— შენ სულ სხვა ხარ. აი, ახლა კიდევ იცინი, კიდევ ხუმრობ, წინათ კი სიტყვასაც ვერ გაიგონებდა შენგან კაცი. მაშ სულ სხვა არა ხარ?

— არა, მეუბნება, მე თითქო არც შემომჩნევია ცვლილება.

— გრიშა, ვეუბნები, როგორ თუ არ აჩნევდი? 15 წელია ერთი ვცხოვრობთ—ერთი რიგიანათ ერთმანეთს არ დავლაპარაკებდით, თითქო პირუტყვებში ვიყავით, გრიშა, რათ გაქრა ეს ჩვენი სიყმაწვილე? რისთვის? ვინ გვიხუმრია ასე საშინლათ? გრიშა, ჩვენ ხომ 15 წელიწადი ვსდუმდით. უცხოებით ვცხოვრობდით... რისთვის, ჩემო გრიშა, რისთვის?..

ვეუბნები და ცრემლებს ველარ ვიქერ—ნაკადულათ წავედი ჩავეხვიე და ვტირი და ვტირი. ისე ვული დამწყდა, ისე ვნანობ, რომ ასე უსიცოცხლოთ გავლო ჩვენმა ცხოვრებამ, ენა ვერ გამოთქვამს. ვტირი და ვგრძნობ ჩემს ლოყაზე გრიშას ცრემლებს. მომეხვია ის, მეაღერსება და ტირის.

მთელი ღამე ასე ტირილში და ლაპარაკში გავატარეთ. არც გვცხვენოდა ტირილის. ამით თითქო კიდევ უფრო დავუხახლოვდით ერთმანეთს, მხოლოდ, როგორც კი მოგვაგონდება, რომ საუკეთესო წლები, სიყმაწვილე დუმილში გავატარეთ, ისე გულს გვიღონებს, რომ მეტი არ შეიძლება. ყველა ყველა, მაგრამ რისთვის?...

რა უნდა მეოქვა ა? დედაკაცის სანუგეშოთ? მე ვხედავდი ცხადათ, რომ ის არსებითათ თავის ცხოვრებით ბევრ მილიონ ხალხზე უბედნიერესია. მაგრამ ასეთი შედარებითი ბედნიერება მას ვერას ანუგეშებდა. ის კარგათ გრძნობდა, რომ საუკეთესო განძი დაკარგა, რომელსაც ვერავითარი ღონისძიებით ველარ დაიბრუნებდა, და აი სწორეთ ეს დანაკარგის დაბრუნების შეუძლებლობის გრძნობა იყო უმთავრესი მიზეზი მისი ტანჯვისა.

სიცოცხლათ წარმომიდგა ყველა ეს მოგონებანი თვალწინ გზა-გზა ბაასის გავლენის ქვეშ და არ შემეძლო არ გამეზიარებია ის ჩემ თანამგზავრათესს.—კი, კი,—თანაგრძობით მიქნევდა თავს არხიტექტორი, ხუმრობაა 15 წელს დუმილი. ჰა? თუშკა, იცით, ამ დუმილშიაც არის რაღაც გიორული. ასეთი უსიტყვო ტანჯვა, და ტანჯვა პოეტური. იტანჯებიან და ერთი სიტყვითაც კი არ ამხელენ თავიანთ ტანჯვებს. არა, არა, ეს სწორეთ რომ არ არის პოეზიას მოკლებული. გახსოვთ, როგორ... მგონი ფრეიდიხგრატს აქვს:

მეგობარო, სიტყვა: არა, ერთი ბგერაც, ვსდუმნეთ ორნივ...

— ეს ფრეიდიხგრატიდან კი არა გარტმანიდან არის, — გაუსწორა ტყის-მცველმა, — მაგრამ საქმე ამაში არ არის. ეს, თქვენი აზრით დიდებული, პოეტური ტანჯვა იწყებს ჩემს მეხსიერებაში მოგონებას ერთს ლეგენდაზე, რომელიც ჩემმა უკვე გარდაცვალებულმა მეგობარმა დასწერა. ეს ლეგენდა მას სადღაც გაეგონა, თუ თვით შეთხზა—კარგათ ვერ გეტყვით, მაგრამ საქმე ამაში კი არ არის, არამედ თვით ლეგენდაში. ეს ლეგენდა ჩაეწერა მას მის უბის წიგნში, რომელიც მის სიკვდილის შემდეგ მე გამომიგზავნეს. ეს წიგნი აი იმ მაფრაშაში ძვეს და თუ გსუთ წაგიკითხავთ.

ჩვენ, რასაკვირველია, თანხმობა გამოუცხადეთ და ტყის მცველმა, ამოდურწა რა მაფრაშადან გაფხეკილი უბის წიგნი, დაიწყო კითხვა.

III

უწმინდური ორმუხდი*), წყარო მოცისკროვნე სინათლისა, გამომავალი სინათლისაგან დათვით სინათლე ასამართლებდა მართალთა და ცოდვილთა. მიმოდრიოდენ მის წინაშე აღამიათა სულნი, ზოგნი დაღვრემილნი და მთართოლვარენი, ზოგნი გაბრწყინებულნი და მხიარულნი; და ყველგან გამჭვ-

*) უმაღლესი ღვთაება ირანთა ძველ სარწმუნოებაში.

რეტი გონება ორმუხდისა ერთთა უდებდა სანატრელ კარებს ბრწყინვალე სამოთხისას, ხოლო მეორეთა აბრუნებდა დედამიწაზე ახალ ცხოვრებისათვის.

და აი წარსდგა მის წინაშე სული კაცისა, სივლიანი და მოვლილ ტანჯვათა მოგონებისაგან და გატისკროვნილი იმ სიამოვნებათა სიგემით, რომელიც მოელოდა მას სამოთხეში.

— განმელენ მე კარნი სანატრელნი შენი ბრწყინვალე სამოთხისა, — შესთხოვდა ის ყოვლის შემოქმედს, — შემიშვი მე. რადგან დიდათ ვტანჯულვარ და მწყურის მოსკენება.

— მიამბე, — წარმოსთქვა უგანათლებულეს ორმუხდმა, — რა იყო მიზეზი შენ ტანჯვათა და რა გვარი მოღვაწეობისათვის იმედოვნებ ღირს გახდე სამოთხეში განსვენებას.

— მიზეზი ჩემ ტანჯვათა იყო დუმილი, — მიუგო კაცმა — და დუმილივე იყო ჩემი დამსახურება. მე შემეყარდა ლამაზი ულ-აინი, ფორსისტანის მშვენიერი ვარდი, და ყველა ჩემი ფიქრები, ყველა სურვილები მიქროდენ მისკენ, ვით მერცხალი თავის ბუდისაკენ. მე შემეყარდა მშვენიერი ულ-აინი და შევეცქეროდი მის თვალებს, ვით ზამბახი დაცქერის გამჭვირვალე ტბის სიღრმეს. მხოლოდ ლამაზ ულ-აინის თვლებში მე ვხედავდი არა ჩემს სახეს, არამედ მთელს შენს ქვეყანას, ბრწყინვალე ორმუხდო, მთელ უშველებელ ქვეყანას, შექმნილს თქვენის ძლიერებით. და, რაც უფრო მეტს შევეცქეროდი ამ თვალებს, მით უფრო მეტს ვხედავდი.

მე შევეცქეროდი ულამაზეს ულ-აინის თვალებს, ფარსისტანის მშვენიერ ვარსკვლავისას და ვდუმდი, — რადგან სიტყვა ჩემი მიმართა არარათ და უბადრუკათ ულ-აინის თვალთა ბრწყინვალეების წინაშე, მიზანდერანის ამ წყნარ ჯვირანისა. და ვიდრე სიტყვანი სიყვარულისა ჩემისა ახმებოდენ ლაწვთა ჩემთა, ვით გაჩხმებიან ვარდნი ძლიერ სიცხისაგან, ფარსისტანის მბძანებელმა, იხილა რა მშვენიერი ულ-აინი, მოგზავნა მასთან მონანი ოქროთ საგეს ტომრებითა, — ამ ჭუჭყით, რომელიცა სერის ადამიანთა სულებს, — და პირიმხეს მამამ, მდიდარმა ზინდანმა, ჩააბარა ქალი თვის მბძანებელს.

მე შემოვიფხრიწე ტანზე საცმელი, ვკოტრიალობდი ქვიშაზე მსგავსათ დაქრილი კამჩისა, და ამ სასოწარკვეთილების წამებში მოვიბოვე სიტყვანი, რომელთაც დამტოვეს მე ბედნიერ წამებში. მე დავტიროდი ჩემს ვარაშ:

ჩაქრა ჩემი მზე, წყვილიდმა ჩამნთქა მარტოკა; ნისლია შემოსა მწვერვალნი უმაღლეს მათთა; გათელილ იქნენ ვარდები შირაზის ველთა შენგან ვარ ყოველ, ულ-აინ, დავშთი მარტოკა...

მე დავტიროდი ჩემს მწუხარებას, ბრწყინვალე ორმუხდ, და ვწყველიდი ჩემს დუმილს, მაგრამ იგი შეიქნა შემდეგ ჩემი ღვაწლი და დამსახურება.

შემდეგ დიდის ხნის სასოწარკვეთილების ოხვრა-კვნესისა და სევდიანობისა, მე ვივრძენი, თუ როგორ ჩაბერე ჩემს სულს შენ, უწაიდესო წყაროვ სინათლისა, გამომავლო სინათლისაგან და თვით სინათლევ, ძალი, სიმხნე და მისწრაფება. მე უკანასკნელათ დავვმე ჩემი დუმილი და წაველ ხალხში, წაველ ქალაქსა და სოფლათ, სადაც შემქონდა შენი მოძღვრება, შენი ფაქიზი სინათლე, შენი ჩაუქრობელი ცეცხლი, რომელაც ენთებოდა ჩემში და რომლისაგანაც მე ვინთებოდი.

მაგრამ იმ დროს, როცა მე გადავდიოდი ქალაქიდან ქალაქათ, სოფლიდან სოფლათ შენის ცეცხლით ანთებული გულში და შენის მოძღვრებით აღჭურვილი ღვაწლებზე, აღმოსავლეთიდან შემოგვესია უთვალავი რიცხვი უცნობ ხალხისა, რომელთაც აღაგეს ჩვენი მხარე, მონებათ აქციეს მცხორებ-

ნი და დაამხეს თქვენი წმიდა საკურთხეველი. ამ ველურ ხალხთა მეთაურთა უკან მოქონდათ ძვირფასი საკაცენი, ხოლო საკაცებზე—მოაქრულნი კერბნი, რომლითაც თაყვანს სცემდნენ იგინი. ჩვენ გვებრძანა დაგიტოვოთ შენ, ბრწყინვალე, და თაყვანი ვცეთ მათ ღმერთებს, შექმნილთ ადამიანთა ხელთაგან. ბევრნი აღმოჩნდნენ ძლიერნიც და სუსტნიც, რომლითაც წამებისა შიშით თაყვანი სცეს კერბთა მათ.

მაგრამ მე, ყოვლის შემოქმედო, მე არ დაგვამე შენ! მე შემბზურეს და მიმიყვანეს საკაცებთან, ჩემს უცნობ ღმერთებთან, და მიბრძანეს თაყვანი ვცე მათ, წინააღმდეგ შემთხვევაში მიქადოდნენ წამებით სიკვდილს. მაგრამ განა მე შემეძლო თაყვანი მეცა ამ კაცთა ხელით შექმნილთათვის, როცა მე გიცნობდი შენ, როცა შენ სუფევდი ჩემში? და როცა სიკვდილს მიქადოდნენ, მე ვდუმდი.

მათ განმართხეს მე მიწაზე და მცემდნენ მე ხარია ძარღვებითა, სისხლი ჩემი რწყავდა მიწასა მას და ქრილობათა ჩემთა სწამლავდნენ საწამლავითა, მაგრამ მე მაინც ვდუმდი.

მაშინ მათ ჩამარქვეს მე ფრჩხილებში ფისში ამოკლებული ხის ჩხირები, შემდეგ აღანთეს ჩხირნი ისე, რომ ცეცხლი სთუთქავდა ჩემ ქრილობიან თითებს, მაგრამ მე ვსდუმდი, და თავი ჩემი არ დახრილა მათ ღმერთთა წინაშე.

მაშინ მათ იწყეს ტყავება ჩემი, ნაკვერცხლებითა სწავადნენ დასერილ სხეულს ჩემსას და ხელთა და ფეხთა ჩემთა ჩხვლედნენ ბეწვის ძაფთან გძელ მახაუკბითა, რომელნიცა ფლეთდნენ ჩემს სხეულს. მაგრამ მე ვდუმდი და ჯალათნი ჩემნი ჰკვირობდნენ ჩემსა გმირობას.

უკანასკნელ მათ ბასრითა დანითა აღკვეცეს თმა თავისა ჩემისაგან და წვეთ-წვეთათ მისხურებდნენ წყალსა ყინული-სასა. ვის ძალ უძს აღწეროს სატანჯველი იგი და ვინ შეძლებს აიტანოს ტანჯვა იგი? ძლიერთა უძლიერესნიც კი გაჰკიოდნენ მსგავსათ ბავშთა. მაგრამ მე ვსდუმდი. შენ სუფევდი ჩემში და ცეცხლი შენი ენთებოდა ჩემს გულში, და ვით შემეძლო შეურაცხმყო დაწვნი ჩემნი უძლიერებისა აღმოთქმით.

მაშინ მათ ჰგვემეს წამებული სხეული ჩემი რკინისა უკრებითა, ამსხვიეს სახსარნი ჩემნი, და სულმა ჩემმა, დაბოლის, დასტოვა მიწიერი საფარველი თვისი და გამოგეცხადა შენ, ბრწყინვალე შემოქმედო ყოველ არსებისაო. შემისე მე ნეტარ კართაგან შენს ნათელ სამოთხეში, რადგან წამება ჩემი იყო დიადი და მწყურის განსვენება.

მიწყდა ხმა კაცისა ჰაერში, ჩამოვარდა მყუდროება, და ძლავს ისმოდა მხოლოდ ფრთათა თრთოლა უჩინარ ციურ არსებათა, რომელნიც დატურავდნენ ჰაერში მის ბრწყინვალეების ტახტისა გარშემო.

— საბრალო შეილო მიწისაო, — გაისმა ხმა ორმუზდისა და ჩამოვარდა ირგვლივ სიჩუმე, შეწყდა სუნთქვაც, — საბრალო შეილო მიწისაო! — შენ ბევრი იტანჯე, შენ გამოიჩინე დიდი გმირობა, მაგრამ შენ კიდევ არა ვლი ჯერ ქეშმარიტების გზით, და ამიტომ კარნი ჩემი სამოთხისა არ გაგელოს შენ. შენ სდუმდი, როცა დაწვთა შენთა სწავადნენ სიტყვანი სიყვარულისა, და შენმა დუმილმა მოგიბოვა შენ მძიმე ტანჯვები. შენ სდუმდი, როცა შეილნი შურიანობისა ფლეთდნენ შენს სხეულს, მაგრამ სიმამაცე შენი იყო უნაყოფო. საბრალო შეილო მიწისაო! რისთვის მოგეცი მე შენ უუდიდესი ჩემთა განძთაგანი — სიტყვა, ეს ქვეყნის უუძლიერესი იარაღი, თუ არ იმისათვის, რომ მით დაგეპურო ქვეყანა? როგორ მიიჩნიე შენ სიტყვა, ნაწილი ღვთაებისა, ნაწილი ჩემი არსებისა, არარად წინაშე მშვენიერებისა, რომელიც აგრევე არის განძი ჩემი, ნაკეთი ჩემი სრულ ყოფისა? როგორ დაატყვევე

შენ სიტყვა დაწვთა შენთა შორის წინაშე ველურ ხალხთა, ამ შურიანობისა და უვიცობის შეილთა! რათ არ აუწყე მათ ქეშმარიტება იგი, რომელსაც შენ ფლობდი **შეილო მიწისაო** — მათ ვერას შევასმენდი, — ჩაიჩურჩულა **შეილო მიწისაო** არ მიიღებდნენ ქეშმარიტებას.

— შენ ეს არ შეგეძლო გცოდნოდა, — მიუგო ორმუზდმა, — შენ უნდა უკანასკნელ წამამდე გეშხილა სიტყვანი ქეშმარიტებისა, და შესაძლო იყო, უკანასკნელ წამს ქეშმარიტების ხმალს გაერღვია მათი გზადანგულობის ქვის კედელი. შესაძლო იყო ქეშმარიტების ისარი ჩარქობოდა მათს გულს შენი სიკვდილის შემდეგ, და შენს მაწამებელით შეევნოთ ქეშმარიტება, გამოიღინარე მათ სხეულის დასერილ ქრილობათაგან. მაგრამ შენ თვით ნაკლებათ გწამდა ძალი და სიმაგრე ჩემი მოძღვრებისა, შენ ნაკლებათ გწამდა ქეშმარიტება და ამიტომ შენ სდუმდი.

დაბრუნდი ისევ დედამიწაზე, საბრალო შეილო მიწისაო, დეე, ახალმა ცხოვრებამ და ახალმა ტანჯვებმა შევასწავლოს რწმენა ქეშმარიტებისა და დაფასება იმ დიდებულ განძისა, რომელიც მე ვუწყალოზე კაცობრიობას, უძლეველი იარაღი, ნაწილი ჩემი ღვთაებრივი არსებისა — სიტყვა-

ასე ამბობდა უწმიდესი ორმუზდი, წყარო მოციმციმე სინათლისა, გამოჩავალი სინათლისაგან და თვით სინათლე, ასე ასამართლებდა ის მართალთა და ცოდვილთა-

— აი მთელი ღვეგენდა, — წარმოსთქვა ტყის მცველმა ცოტა სიჩუმის შემდეგ და დახურა წიგნაკი... ჩემი აზრით, უმძიმეს დროებში დუმილი, მართლაც, შეიძლება იყოს დიდებულიც და მშვენიერიც, მაგრამ, როცა აღტაცებაში მოგყვართ მას, ვერ დაგვიხწვევია თავი ექვისაგან მის მიზანთშეთანხმებაში. ადამიანს მიენიჭა სიტყვა. ეს — მისი საბრძოლველი იარაღია ქეშმარიტებისათვის. ბრძოლის შედეგი თვით თავისათვის ადამიანს არ შეუძლია გამოიცნოს, მაგრამ მან უნდა აბრძოლოს იმისათვის, რაც მას სწამს, უნდა აღიაროს თავისი რწმენა, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა. თუ ის ამჯობინებს გონიერულსა ან ამაყს დუმილს — სჩანს, მათ ნაკლები რწმენა აქვს თავის იარაღისა

არხიტექტორმა დახედა საათს, შეიკაფა უნებლიეი მოქნარება და შენიშვა: — ძალიან ჩავებით ფილოსოფიაში, და დრო კია ცოტა მივთვლიმოთ. ყველა ეს მართალია თეორიაში, ხილო პრაქტიკაში კი... და მან გაურკვევლათ გადააქნია ხელი.

ამ დახვედებულმა და უაზრო ფრაზამ შეწყვიტა ჩვენი ბასი და შევეუდქით დასაძინებლათ მზადებას.

— ი.

წერილი რედაქციის მიმართ.

გავზავნით ათ მანეთს და 50 კაპ., ჭიათურელ რამდენიმე მუშებმა შეკრებულს, და გთხოვთ დახმარდეს იმ სახელსა იათფასიან წიგნაკების გამოცემის საქმეს, რომელსაც კისრულბის ხატოვნი მუშები კვადის რედაქცია. იმედი გვაქვს მასთან, რომ ამ დიდ მნიშვნელოვან საქმეს სხვაინიგ გამოუხინდება მიმბაძველნი და თავიანთ ნიკთიურ დახმარებას შეძლებისდაგვარათ აჩვენ დაიხარებას.

გიორგი კაკაბაძე.

კვალის ფოსტა. ბ. „ი“-ს. თქვენ მიერ გამოგზავნილი კორესპონდენცია არ დაიბეჭდება, ვინაიდან რედაქციას არ აგებებთ თქვენ ვინაობას. კორესპონდენციას არა უშავს რა და, რომ რედაქციისათვის შეგეტყობინებთ თქვენი ვინაობა, დაიბეჭდებოდა.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი.

ტელეფონი 617

ქართული თეატრი

კვირას, 24 ნოემბერს 1902 წ.

დაკლებული ფასებით.

ქართული დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ წარმო-

დგენილი იქნება
ორი ზიესა

I

უხედურ პარსკვლავზე

(Passionaria)

ისპანიური თანამედ. დრამა 3 მოქ. კანო-ი-მაზახისა.

II

ბ ა ქ ი - ბ უ ქ ი

კომედია 2 მოქ. დაბიზისა, გადმოკეთებული ან. თუმანიშვილი-წერეთლის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რიონელი, როსტომიანი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, ჟღენტი და სხვ.

ადგილების ფასი: ლოყები 4 მანეთიდან 8 მან.-დე; პარტეტი 50 კ.-დან 1 მ. 50 კ.-მდე, ამფითეატრი 60 კ.-დან 80 კ.-მდე; გალერეია 20 კ.-დან 35 კ.-მდე.

შეგირდებისათვის ადგილები 40 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათს ე.

შხადდება წარმოსადგენათ „კოვერლის მკვლელობა“, „მუშაკი და ნებიერი“, „მტრ-მოყვარე ძმები“.

თეატრის გამგეობა უმორჩილესათ სთხოვს მაყურებლებს, ზიესის მოქმედების უფრო ტანს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოაწვევენ ხელმე მისხიობთ, რადგან უდრავთ-დრათ მოქმედების შეწყვეტა ზიესას ახდენს და მისხიობათ აკრძალულია აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასკრავათ.

რეჟისორი ვ. გუნია.

იუტდება და გამოვა ნოემბერში 1903 წლის „საქართველოს კალენდარი“

ვ. ბ უ ნ ი ა ს ი.

გამოც. ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა. კალენდარი დასურათებული იქნება მრავალის სურათით, როგორც ჩვენის, ისე უცხოეთის ცხოვრებიდან. კალენდარში მოთავსებული იქნება გარდა საკალენდრო ცნობებისა სალიტერატურო განყოფილებაც.

მიიღება განცხადებები კალენდარში დასაბეჭდვით შემდეგის ზირობით:

Дозволено ценз. Тифлясь, 23 ноября, 1902 г.

კალენდრის თავში მთელი გვერდი ღირს—10 მ., 1/2 გვ.—6 მან.; კალენდრის ბოლოში—1 გვერდი—7 მან., 1/2 გვ.—4 მ., 1/4 გვ.—2 მ., მარტ ოაღრესის გამოცემა—1 მან., 1/2 გვ.—1 მ.

განცხადება მიიღება ივნისის 1-დან

ტფილისში—ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზ. კანცელარიაში. ქუთაისში—ვ. ბუჯანუაშვილის და შატ. ლადაძესთან. ბათუმში—მ. ნიკოლაძესთან და ევ. ჭვლიტესთან. ნოემბერში გამოვა „ქართ. შ. წ.-კითხ. გამავრც. საზ. გამოც.“

კვლის კალენდარი.

РУССКОЕ БОГАТСТВО

ИЗДАВАЕМОЕ

В. Г. Короленко и Н. К. Михайловскимъ.

ПРОДОЛЖАЕТСЯ ПРИЕМЪ ПОДПИСКИ НА 1903 ГОДЪ.

На годъ съ доставкой и пересылкой 9 р., безъ доставки въ Петербургъ и Москвѣ 8 р., за границу 12 р. Адресъ: Петербургъ, Баскова ул., 9; Москва, Никитскія ворота, д. Тагарина.—При непосредственномъ обращеніи по этимъ адресамъ допускается подписка на полгода съ уплатой 5 р.—Книжные магазины, библиотеки, земскія склады и потребительныя общества могутъ удерживать за комиссію и пересылку денегъ только 40 коп. съ каждаго годоваго экземпляра. Подписка на полгода отъ нихъ не принимается.

Въ контору журнала „Русское Богатство“ [Спб., уг. Спасской и Басковой ул. д. 1—9] поступили въ продажу Сочиненія Глеба Успенскаго въ трехъ томахъ, съ портретомъ автора и вступительной статьей Н. К. Михайловскаго. Изданіе Ф. Θ. Павленкова 1897 и 1898 г. Цѣна каждаго тома 1 р. 50 коп. Уступка 20 0/0, Пересылка на счетъ покупателей—посылкой, бандеролью или товаромъ большой скорости.

ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА

НА

ежедневную газету политики, литературы и общественной жизни

КУРЬЕРЪ

(V ГОДЪ ИЗДАНІЯ)

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

на 8 мѣсяц. 2 руб. на 2 мѣсяц. 1 руб. 40 коп. на 1 мѣсяц. 75 коп.

Для учащихъся въ высшихъ учебн. заведеніяхъ на 1 м. 60 к.

Переходъ изъ годовыхъ подписчиковъ на разсрочкѣ въ полугодовые или на другіе ероки не допускается.

Прежніе подписчики, при возобновленіи подписки, благоволятъ прилагать бандероль, подъ которой они уже получали газету.

ელექტრონით მბეჭდელი სტამბა ძმ. თავართქილაძისა. სერგიევს ქ. № 1.